
ფასი სამი შაური

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

№7-8 ყოველთვიური სასოფლო სამეურნეო და პოპულარული მეცნიერული ჟურნალი ივლისი აგვისტო



სო[illegible]რეგისა-

[illegible]ათიანი.

[illegible]ყობა

აგრ. ერ. ნაკაშიძე.

[illegible]ს მოყვანა

მეგ. მ. ცივაძე.

[illegible]ზაზრდა ჩაის ბუჩქის მოვლა

აგრ. ვ. ჯაში.

შინაური ფრინველები და მისი მტრები საქონ. ექ. მ. მირიანაშვილი.

ლენინი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე ვლ. ცაგარელი.

როგორ ჩნდება გადამდები ავადმყოფობა ექ. პ. ბუაჩიძე.

მეცნიერება და ტეხნიკა ნ. ა.—ლი.

გამოსაღეგი ცოდნა

კითხვა-პასუხი.

ტფილისი
1928

გამოსცემდა „ახალი სოფელი"

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და
მეცნიერულ-პოპულიარული ჟურნალი

„ახალი სოფელი“

გამოდის 1928 წლის იანვრიდან აგრონომ ნ. აღნიაშვილის საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი „ახალი სოფელი“-ს რედაქცია.

ჟურნალის მიზანია: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მევენახეობაში — **ვ. გიგილაშვილი**; მეღვინეობაში — **კ. გერეკაშვილი**; მეცხოველეობაში — **ვ. ციმაკურიძე**; მებაღეობაში — **მ. ძაძიაძე**; მეტყეობაში — **გ. გრებვაძე**; სუბტროპიკულ კულტურის დარგში — **ერ. ნაკაშიძე**; მემინდვრეობა-მებოსტნეობაში — **ნ. აღნიაშვილი**; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში — **ი. ჟუ დიანი**; მეაბრეშუმეობაში — **ვლ. ნიჟარაძე**; მეფუტკრეობაში — **პ. ლოლაძე**; ვეტერინარიაში საქონლის ექიმი — **მ. მირიანაშვილი**.

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ივ. გომართელი**.

მეცნიერულ პოპულიარულ გაბუოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები. გარდა ჩაძოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, ქრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ე. ეფრემიძე, არ. კობახიძე (კახეთი) და ვ. შანიძე (გურია).

სპეციალისტები: აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. უნაფქოშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ამჟამად შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად სასარგებლო ჟურნალი „ახალი სოფელი“.

ჟურნალზე ხელისმოწერის პირობები:

წლით — 1 მ. 50 კ., ექვსი თვით — 80 კ., სამი თვით — 40 კ.

ცალკე ნომერი 15 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება ყველა ქოს-სამკითხველოებში და რედაქციაში შემდეგი მისამართით:

ტფილისი: ვოლოდარკის ქუჩა № 11 ჟურნალ „ახალი სოფელი“-ს რედაქციას.



ბაუმანელის მეშვეობის და გლეხების კავშირის!

ახალი სოფელი

ჟურნალი სასოფლო-სამეურნეო და პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 7—8 ივლისი—აგვისტო 1928 წ.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

გლეხის მეურნეობის განვითარება, მისი შემოსავლიანობის გადიდება დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

ამ ამოცანის შესრულებისათვის მთელ რიგ წლების განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობაა საჭირო; ამას გვავალებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი შემოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო მუშაობაში ცოცხალი მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის ყველა სასიცოცხლო ძალებმა —პარტიულმა, საბჭოთა და აგრეთვე საზოგადოებრივმა: აგრონომმა, მასწავლებელმა, კოოპერაციის მუშაკმა და სხვა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა, უეჭველია, ჩამორჩენილია. დროებითი ზომებით, ერთი დაკვრით, ერთი ხელი ხალისიანად წამუშავებით აქ ვერაფერს გაეხდებით. ამ დარგში მუშაობა უნდა იყოს მუდმივი, დაჟინებული, მასიური.

ამ გარემოებიდან წარმოიშვება სოფლის მეურნეობის დარგში სათანადო საქმიანობის წარმოებისათვის ცენტრში მრავალ-წლიანი გეგმის დამუშავებასთან ერთად ადგილებზე ყოველ გაზაფხულ-შემოდგომის ახალ-ახალი გეგმების შედგენის საჭიროება.

ყოველმა ახალმა გეგმამ წარსულის ნაკლი უნდა გამოასწოროს, ახალი საშუალებანი გამონახოს და ახალი საჭირო ძალები ჩააბას მეურნეობის განვითარების და მისი შემოსავლიანობის გადიდებისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარება და შემოსავლიანობის გადიდება უნდა მოხდეს, პირველი, სამრეწველო მცენარეთა და ხორბლეულობის ნათესების სივრცის გადიდების და მეორე ნათესების გაუმჯობესებული წესით დამუშავების გზით.

როგორც ნათესების სივრცის გადიდება, ისე შემოსავლანობის ამაღლება, გულისხმობს სოფლის მეურნეობაში მანქანა-იარაღების შეტანას, მწკრივად მანქანით თესვის შემოღებას, შერჩეულ მაღალ-ხარისხოვან თესლეულობის გამოყენებას და მიწის განოყიერებას.

ყველაფერი კი ეს მოითხოვს ამ თავითვე, ვიდრე გლეხის აგრონომიული უკოდინარობა მოისპობოდეს, აგრონომის სოფელში ჩასახლებას და აქ მისი საქმიანობის განსაკუთრებით გაცხოველებას.

რასაკვირველია ამ საერთო ღონისძიებებთან ერთად **კოლექტიურ მეურნეობათა დაარსება - გამაგრებასაც** განსაკუთრებულიდე ყურადღება უნდა მიექცეს. ურომლისოდაც ჩვენ სოფლის ჩამორჩენილ მეურნეობას ვერ გარდაექმნით, ახალ სოფელს და ახალ ცხოვრებასაც ვერ შეექმნით.

Ყ 918

სოფლის მეურნეობა

წითელი ღვინის დაყენება

წითელი ღვინის დაყენების წესი ბევრათ განირჩევა თეთრი ღვინისაგან; წითელი ღვინის დაყენებაში უმთავრესი ყურადღება ექცევა ღვინის ფერს, მის წითლად შეღებვას.

ყურძენს ეცლება კლერტი და ჭაჭა წვენთან ერთად იყრება ჩანში ან ქვევრში და დგება წითელი ღვინო. ჭურჭელში სამი მოვლენა ხდება:

1. დუღილი; 2. გამოკრეფვა; 3. დალექვა.

დუღილით ყურძნის წვენში სიტკბო იქცევა სამაგრეთ ანუ შაქარი-ალკოგოლათ და ნახშირის სიმჟავეთ.

გამოკრეფვით ყურძნის ჭაჭიდან და სხვა მაგარი ნაწილებიდან სხვადასხვა მაგარი ნივთიერება გამდნარის სახით გადადის ტკბილში და ღვინოში.

დალექვით ღვინოს ეცლება და იკრეფს ჭურჭელში ღვინის მარილი (კრემორტარტარი), საღებავი ნივთიერება სხვ.

განვიხილოთ სამივე მოვლენა ცალ-ცალკე.

დუღილი.


ჭაჭაზე ღვინო უფრო მალე დაიდუღებს, ვიდრე უჭაჭოთ. ჭაჭაზე ტკბილი დუღილს მოათავებს სამიდან თორმეტ დღეში; უფრო ხშირათ ათ დღეს არ გადააცილებს. თეთრი ღვინოს დუღილი კი სამ კვირას გრძელდება. თუ დუღილი, დიდ ჭურჭელში ხდება, სითბო ხანდახან ორმოც გრადუსამდის აიწევს. აწეულ სითბოში დუღილი ნელდება და კიდეც შეჩერდება, რადგან მადუღარები ცხელ ტკბილში ველარ მოქმედობენ. ამისათვის აიწევს თუ არა სითბო 30 გრადუსს ზევით დუღილში, საჭიროა ტკბილი შეინჯღრეს, ჭურჭელს დაერიოს, რომ ჰაერმა გაუაროს; ეს ხელს შეუწყობს მადუღარების გაცხოველებას და შეწყვეტილი ან შენელებული დუღილი ისევ იმატებს.

ყურძენი თუ ცხელი გაიჭყლიტა და ჩაიყარა სადუღრად, დუღილი უეცრად დაიწყება და სითბო სწრაფად აიწევს. **უცბად აწეულ სითბოში დადუღებული ტკბილიდან თავი ღვინო არ დადგება.** ამისათვის ვინიცობაა ყურძენი ცხელია, ის უნდა გაგრილდეს, გაიჭყლიტოს და ისე ჩაიყაროს სადუღებლად. ყურძენს შეიძლება ესხუროს ცივი წყალი; გაუჭყლეტელი ყურძენი წყალს არ შეიწოვს და ამ მხრივ წყალის მომატება საშიში არ არის. ჭურჭელში ჩაყრილი მასალა უეცრათ არ უნდა ადუღდეს; დუღილის შესაჩერებლათ ჭურჭელს უბოლებენ გოგირდის პატრუქს. საფრანგეთში იციან გოგირდოვან სიმჟავის (ანგიდრიდის) მომატება; ჰექტრო-ლიტრზე ტკბილში ემატება 30 გრამი გოგირდოვანი სიმჟავე (სითხე). ამგვარად აჩერებენ დუღილის დაწყებას ტკბილში სანამდისაც სასურველია. როცა უნდათ, რომ დუღილი დაიწყოს ტკბილს აძლევენ წმინდა კულტურის ძლიერი მადუღარის დედას.

დუღილში სითბოს შესამოწმებლათ ძლიერ საჭიროა ტერმომეტრი. ტერმომეტრი სხვადასხვა ზომისაა; არის გრძელი ტერმომეტრი, რომელიც ძრომდის (ძრომდე) ჩასწვდება დიდი ზომის ჭურჭელს; ისეთიც არის, რომელიც გვერდის მილიდან გაუკეთდება ჩანს. ტერმომეტრით გაზომვა მადუღარი ტკბილისა დღეში სამჯერ ხდება; სითბოს რაოდენობა უნდა დაიწეროს.

დუღილის სითბოს განსაკუთრებული გავლენა აქვს თვით მადუღარზე

და ღვინის ხარისხზე. ტკბილის დუღილის დროს ჭურჭელში ზევითა და ქვევითა ნაწილებში სითბო ერთნაირი არ არის. ნახშირის სიმჟავეს ჰაჭა ზევით ამოაქვს, ჰაჭას თან მოჰყვება მადუღარები და თავსიყრიან ჭურჭელის ზედა ნაწილში; ამიტომ იქ დუღილი უფრო გაცხოველებულია და სითბოც მეტია, ვიდრე ჭურჭლის შუა და ქვედა ნაწილებში. მათ შორის სითბოს განსხვავება ზოგჯერ 15 გრადუსამდის აღწევს. შეიძლება ჩანში ან ქვევრში თავში დუღილის დროს სითბო 30—35 გრადუსი იყოს და ქვედა



მაჭრის გასაგრილებელი

ნაწილში კი სითბო 15—20 გრადუსზე მეტი არ იყოს. ამიტომ საჭიროა ჭურჭელს დღეში 3-ჯერ დაერიოს; ჭურჭელის დარეცა უნდა ყოველ დილას, შუადღისას და საღამოს, დუღილის დაწყებიდან დამთავრებამდის. დასარეცათ ხმარობენ გრძელ, მაგარ ჯოხს, რომელსაც ბოლოში გაყრილი ან მიმაგრებული აქვს ორი—სამი მოკლე ჩხირი (იხ. სურ. 2).

აწეული სითბო ტკბილში შეაჩერებს ალკოგოლურ დუღილს და სამაგიეროდ შეიძლება მავნე (ბაქტერიული) დუღილი გამოიწვიოს რაც ღვინოს გააფუჭებს. ამას გარდა, როცა დუღილში აწეული სითბოა, მაჭრიდან სწრაფად ამოქრის ნახშირის სიმჟავე და მას თან ამოაქვს ალკოგოლის და ბუკეტის (რაც ღვინოს სურნელებას აძლევს) ნაწილი. ამისათვის გაცხელებულ მაჭარს სხვადასხვა საშვალებით აგრილებენ: უფრო ხშირათ დაურევენ ჭურჭელს; ცივი წყალით სავსე თავ დაცმულ ჭურჭლებს ჩაუშვებენ ჩანში ან ქვევრში. მაგრამ ყველაზე უფრო საუკეთესო საშუალება გაცხელებული მადუღარი ტკბილის საგრილებელში გატარებაა.

საგრილებელი შედგება რამოდენიმე გარდი-გარდმო შეწყობილ მილებისაგან; მილებში გადის მაჭარი; მილებს გარედან კი ესხმება ცივი წყალი და ასე ხდება დუღილი, სანამ მაჭარი არ გაგრილდება.


გამოკრეფვა.

საღებავი ნივთიერება, ტანინი, ბუკეტის სხეული და სხ., რაც დიდათ საჭიროა წითელი ღვინისათვის, მოთავსებულია ყურძნის მაგარ ნაწილებში — ჭაჭაში. კურკებში, (წიპწაში), კლერტში. ისინი ყურძნიდან ტკბილში და ღვინოში უნდა გადავიდენ. ეს უფრო კარგად მაშინ მოხდება, თუ დუღილში სითბო აწეულია; აწეულ სითბოში ჭაჭიდან, კურკიდან და სხვა მაგარი ნაწილებიდან ერთნაირათ გამოიკრიფება წითელი ღვინისათვის საჭირო ნივთიერებანი. აგრეთვე რაც უფრო მოხდება მადუღარი მაჭას, მით მეტათ გამოკრეფს იქიდან ანუ მით უფრო ადვილად გადასცემს ჭაჭა მაჭარს შემადგენლობას და გაერევა ღვინოში. ასე რომ ჩანში ან ქვევრში ჩაყრილ ყურძნის მასალას თუ ხელი არ შეეწყო დუღილში და თავშინებებული დასტოვე, არ იგარგებს.

ღვინო საუკეთესოთ მაშინ შეიღებება, როცა ჭურჭელს დუღილში თავის დროზე დაერევა და სითბო აწეული ეჭნება.

მასალების გამოსაკრებათ სითბოს

დიდი გავლენა აქვს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აწეული სითბო თვით დულილისათვის არ არის კარგი პირობა: როგორც აღვნიშნეთ, აწეულ სითბოში დულილი ნელდება და კიდეც ჩერდება ხოლმე და აგრეთვე **აწეულ სითბოში დადულებულ ტკბილიდან თავი ღვინო არ დგება.** ამისათვის წითელ ყურძენს ადულებამდის ისე შეამზადებენ ხოლმე, რომ ადვილი იყოს ყურძნიდან ნივთიერების გამოკრეფა დულილში; ყურძენს ხელოვნურად ათბობენ. მოწნულებზე დაყრიან ყურძენს თხლათ და მისცემენ ქვევიდან ცხელ ორთქლს; ყურძნის ჭაჭა, ასე ვთქვათ, იშლება და დულილში იქიდან საღებავი ნივთიერება ადვილად გამოიკრიფება.



ტკბილის დასარევი

ამგვარი მოსაზრებით ჩვენშიაც იციან ყურძნის გათბობა: იმერეთში ოცხანურ საფერს ყრიან ჩელტებზე და მზეზე ჰფენენ; ზოგი მზეს უფენს ჭაჭას და სრესავს; ეს იმიტომ, რომ კარგად შელებოს ღვინო*) და მას სუნი მისცეს. ჩვენი გლეხობა ბევრ საყურადღებო მუშაობას ეწევა მეღვინეობაში, რასაც შესწავლა ესაჭიროება.

ხაკური საფერავი მადლიანია ამ მხრივ: მას იმდენი აქვს საღებავი ნივთიერება, ტანინი, ბუკეტის სპეციალი და სხვა სიკეთე, რომ ყურძენი ადვილათ გადასცემს ხოლმე დულილში ტკბილს ყველა სასიკეთო შემადგენლობას. კახური საფერავი შესანიშნავი ჯიშის ვაზია, რომელიც საკვირველია გავრცელებისა შესაფერის ალაგებში.

ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენლობა, როგორც ვთქვით, იხსნება მადუღარ ტკბილში და ღვინოს უერთდება; მაგრამ თავის მხრივ ღვინის ზოგი შემადგენლობაც ღვინოს ეცლება ნაწილობრივათ და ყურძნის მაგარ ნაწილებს უერთდება; უფრო ალკაგოლს ისვამს ჭაჭა, აგრეთვე ჭაჭა უკანვე იკრეფავს ღვინოში გამდნარ საღებავ ნივთიერებას და სხვ. ამიტომ არის, რომ ჭაჭიდან იხდება არაყი. რაც მეტი იქნება ჭაჭა და კლერტი ღვინოში და მეტ ხანს დარჩებიან შიგ, მით მეტ ალკოგოლს შეისვამენ და ღვინო დაკარგავს სიმაგრეს. ამიტომ კლერტი ტკბილს არ უნდა ჩაყვეს; ყურძენს კლერტს აშორებენ: ეს მეტად ძლიერ საჭიროა, როცა თავ ღვინოს აყენებენ; დაქაჩვაში კლერტის წვენი ალარ შეერევა ტკბილს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაც მეტ ხანს გაჩერდება მაჭარში ჭაჭა და ყურძნის სხვა მაგარი ნაწილები, ღვინო უფრო შეიღებება და მეტ ტანინს მიიღებს. ამისათვის ღვინის ჭაჭაზე გაჩერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შემადგენლობის ღვინის მიღება უნდათ.

დალექვა

ტკბილის დულილში გაჩნდება თუ არა ალკოგოლი, ღვინის მარილი მკვრივდება, მაგრდება და თხელ პაწაწინა ფლეჩებათ ეყრება ჭურჭლის გვერდებს ან ძირზე ილექება. ასე ეცლება ღვინოს ღვინის მარილი (კრემოტარტარი); რაც უფრო გაცივდება ღვინო და ალკოგოლი მეტი აქვს, მით მეტი სიმჟავე გამოეცლება. როცა ღვინოში თავისუფალი სიმჟავე არ არის და მაგარია მას ღვინის მარილი მეტი ეცლება. ამიტომ მაგა-

*) იმერეთში თვით ღვინოს ოცხანური საფერის ჭაჭით წითლად ღებავენ.

რი ღვინოების თხლეში ღვინოს სიმჟავე ბევრია.

ძრიელ მწიფე ყურძენში თავისუფალი სიმჟავე თითქმის არ არის და მაგარი ღვინო დგება. დაგება თუ არა სიცივე, ასეთ ღვინოს ღვინის მარილი პირველსავე თვეში ბევრი ეცლება. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როცა გადაღებულ თეთრსა და წითელ ღვინოებს სიცივის გამო გამოეცალათ ნახევარზე მეტი სიმჟავე; შევათბეთ მარანი და სიმჟავემ იმატა.

სიმჟავეს გარდა ღვინოს შეიძლება ფერიც გამოეცვალოს. თუ ღვინო ჭაჭაზე მეტ ხანს დარჩა, ჭაჭა ღვინიდან საღებავ ნივთიერებას უკანვე იკრეფავს. საღებავ ნივთიერებასთან ერთად ღვინოს ფერი, გემო და ბუკეტი აკლდება, ღვინო უფერულდება, რაც ღვინისათვის დიდი ნაკლია. ამისათვის მელვინე უნდა მიხედეს მაჭრის დუღილში იმ დროს, როცა საჭირო მასალები ყურძენის მაგარი ნაწილებიდან უკვე გამოკრეფილია; შეიღებება თუ არა ღვინო, ის ჩანიდან უნდა ჩამოიშვას, ქვევრიდან გადიღოს.

ეს ის დროა (მომენტი), როცა ღვინოში ფერი აღარ მატულობს. ამის გაგება ასე ხდება: დარეცის შემდეგ ჭურჭლიდან იღება ნიმუში, ყოველ დღეს, როცა მოახლოებულია ჭაჭაზე მოშორების დრო. ღვინის ნიმუში უნდა გაატაროთ საწურ ქალალდში, მიუმატოთ სამი იმდენი წყალი და ჩაასხათ თხელ, გამჭვირვალე პრტყელ თეთრ შუშაში; დააკვირდით ამოღებულ ნიმუშებს შეადარებთ ერთი მეორეს ფერის მხრივ: შუშები ნიმუშებით უნდა მოათავსოთ სინათლეში ფანჯრის პირდაპირ; გამსინჯველი ზურგს ფანჯრისაკენ იზამს და წინ დადგმულ ნიმუშებს გადაღმიდან აუფარებს სპეტაკ თეთრ ქაღალდს, რაც უფრო გამოაშკარავებს ნიმუშების შეღებვის მეტ ნაკლებობას ან ერთნაირობას. ორი სამი ერთნაირი ფერი იმის მაჩვენებელია, რომ ღვინო ჭაჭაზე მეტ ხანს აღარ დაიტოვება.


ჩანის დროზე ჩამოშვება ანუ ჭაჭიდან დროზედ ღვინის გადაღება მეტის მეტათ მნიშვნელოვენი სამუშაოა, რასაც დიდი გავლენა აქვს ღვინის ხარისხზე და ამიტომ ეს მუშაობა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შესრულდეს.

ღვინის დაავადება დუღილში

დუღილის დროს თუ ჭაჭას ჭურჭელში ხვდება ჰაერი, ზედ მრავლდებიან ძმრის ბაქტერიები და ღვინო ძმარდება. დუღილში თუ აწეული სითბოა 35-40 გრადუსი, შეიძლება ღვინოში გაჩნდეს **მანიტის** დუღილი, თუ ტკბილს სიმჟავე აკლია, ღვინოს შეიძლება გაუჩნდეს **ტურნის** ავადმყოფობა.

სპეც. ჯ. ბერეკაშვილი.





სათესლე მასალის დამზადება

სათესლე მასალის ხარჯიანობა

ყველას გაუგონია ანდაზა — **რასაც დასთეს, იმას მომკი.**

ყველაზე უკეთ ეს გლეხობამ იცის; მაგრამ სამწუხაროდ თესვის დროს ეს ბევრს ავიწყდება.

ვის არ უნახავს ჩვენში დასათესად გამზადებული ხორბლეული! შიგ ხორბლის მარცვლების გარდა ბევრი სხვა ბალახების თესლი, მიწის გორახები, პატარა კენჭები და სხვა საგნები ურევია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გლეხის კალოებზე ალებულმა ხორბლის ნიმუშებმა დაგვანახვეს, რომ ამ წილ ხორბალში ყოფილა:

გორის მაზრაში 26 წილი სხვადასხვა ხარჯი.

დუშეთის მაზრაში 37 წილი სხვადასხვა ხარჯი.

ბორჩალოს მაზრაში 27 წილი სხვადასხვა ხარჯი.

თელავის მაზრაში 26 წილი სხვადასხვა ხარჯი.

სიღნაღის მაზრაში 17 წილი სხვადასხვა ხარჯი.

რა თქმა უნდა, ასეთი ხარჯიანი სათესლე მასალა მოსავალს კარგს ვერ მოგვცემს. ამიტომ პურის ხარჯიანობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, რადგან ყანაში მორეული სარეველა ბალახი მოსავლის საშინელი მტერია.

სარეველა ბალახი მოსავალს აზიანებს

გარდა იმისა, რომ სარეველა ბალახების თესლიანი ხორბალი თავის ღირსებას და ღირებულებას ჰკარგავს, ზოგიერთ შემთხვევაში ის მავნებელი ხდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მაგალითად, ღვარძლიანი ხორბალი. ასეთ ხორბლისაგან გამომცხვარი პური მწარეა, თავბრუსხვევას და გულისრევას იწვევს, და, თუ ბევრი მოუვიდა, შეიძლება მოიწამლოს კიდეც ადამიანი. ასევე ითქმის ზოგიერთ სხვა ბალახეულობის თესლზედაც, თუ მრავლად ურევია ხორბალში.

მაგრამ ყველაზე უფრო საშიში სარეველა ბალახია ყანისათვის, ყველა მცენარეს სჭირდება მასაზრდოებელი ნივთიერება — საკვები, რომლის წყალობით ის იზრდება, ვითარდება და იკეთებს ნაყოფს.

ამ საზრდოს მცენარე იღებს ნიადაგიდან და რამდენადაც საკმაოდ ამოიღებს, იმდენად ის უკეთ განვითარდება და მეტ და უკეთეს მოსავალს მოგვცემს.

მცენარეს თავის განვითარებისათვის სჭირდება აგრეთვე წყალი, სითბო და სინათლე.

სარეველა ბალახებსაც, როგორც ყველა მცენარეს სჭირდება ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საზრდო-საკვები. ესენი ამგვარად, ჩვენი დათესილ მცენარეებს ერთგვარ მეტოქეობას უწევენ საკვებ-საზრდოში, წყალით და სინათლით სარგებლობაში.

„სასარგებლო მცენარე ადამიანის მოვლა-პატრონობისაგან უფრო განაზებულ — განებივრებულია, ცუდ პირობებს ვერ იტანს და ადვილად ჩაგრება. სარეველა ბალახი კი თავის

თავზე მინებებული გაკაჟებულია, ადვილად იტანს ცუდ პირობებს, გამძლე და ღონიერია. ისინი ადვილად სჯობნიან ჩვენს პურეულს, თავის ღონიერ ტოტებით და ფოთლებით აჩრდილებენ, სჩაგრავენ, აყრუებენ, ხუთავენ მათ და ამიტომ მოსავალიც ნაკლები მოდის.

რას გვეუბნება დაკვირვება

თუ რამდენად მაზარალებელია სარეველა ბალახი ყანისათვის გვიჩვენებს შემდეგი დაკვირვება:

ორ დღიურზე დათესილი იყო გარეულ შვრიით მოდებული დოლის პური. ერთი დღიური გამარგლეს, მეორე კი გაუმარგლავი დასტოვეს, გამარგლულში მოვიდა 46 ფუთი. გაუმარგლავში მოვიდა 26 ფუთი.

მეორე მაგალითი: პურს მორელი ჰქონდა თეთრი ნარი და რძიანა.

გამარგლულში მოვიდა 49 ფუთი პური, გაუმარგლავში მოვიდა 33 ფუთი პური.

ერთის შეხედვითაც ეს განსხვავება მეტად დიდია.

საიდან ჩნდება სარეველ ბალახების თესლი

ეჭვი არ არის ჯერ სათესლე მასალიდან. თუ მას არ გავწმენდეთ, მაგრამ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ დასთესავთ გაწმენდილ თესლს, და ყანაში სარეველა ბალახი მაინც ბლომად არის. ეს იმიტომ ხდება, რომ ნიადაგში წინა მოსავლის დროს ჩაბნეულა ბალახების თესლი. ხშირად სარეველ ბალახების თესლი ყანაზე ადრე მწიფდება, მისი თესლი ნიადაგში იბნევა და რამოდენიმე წელიწადსაც კი სძლებს მიწაში. თანაც სარეველმა ბალახმა მრავალი თესლი იცის. მაგალითად, მაჩიტას ერთი ძირი 75 ათას ცალ მარცვალს იკეთებს, ვარდაკაჭაჭა—24 ათასს და სხვა. აქედან ცხადია, რომ ყანა ვერ გაუძლებს ამდენ მტერს, თუ მას პატრონი გამარგვლით და სათესლე მასალის გაწმენდით არ დაეხმარა.


სათესლე აუცილებლივ უნდა გაიწმინდოს

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლისათვის სათესლე ავ-კარგიანობას. **სათესლე მასალა უნდა იყოს სუფთა, მასში არც ერთი სარეველა ბალახის თესლი არ უნდა ერიოს.**

თესლი უნდა იყოს მსხვილი, მძიმე, დასრულებული და სრულებით დამწიფებული. ამ მოთხოვნილების გასაგებად საჭიროა გავეცნოთ თესლის აგებულობას.

თესლის აგებულობა

პურის მარცვალი წყალში რომ დავალბოთ და შემდეგ შუაზე გავჭრათ, შევნიშნავთ, რომ ის შესდგება სამ ნაწილისაგან: პირველია **კანი**, რომელიც მას გარს შემორტყმული



შუაზე გაჭრილი ხორბლის მარცვალი

აქვს, მეორეა— **ჩანასახი**, რომელიც მოთავსებულია მარცვლის შევიწროებულ მხარეს და მესამე—**ცილაა**, რომელსაც უჭირავს მარცვლის დიდი ნაწილი.

კანს თესლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კანი გაცილებით მაგარია მარცვლის დანარჩენ ნაწილებზე, ის იცავს ჩანასახს და ცილას დაზიანების და გამოშრობა-გამოხმობისაგან.

ჩანასახი წარმოადგენს პაწაწინა მცენარეს, რომელიც შემდეგში ვითარდება დიდ მცენარედ. ჩანასახს აქვს ძირკვი, ღერო და კვირტი. ძირკვისაგან ვითარდება ფესვები, ღეროსაგან—ღერო და კვირტისაგან ფოთლები და ყვავილები დიდი მცენარისა.

ცილაში დაგროვილია საზრდო, რომელიც მცენარეს განვითარების პირველ ხანში სჭირია. როცა თესლი შესაფერ პირობებში მოხვდება, გაიბერება, კანი გაუსუქდება და ჩანასახიც იწყებს თანდათან ზრდას. ამ დროს ჩანასახი საზრდოობს მხოლოდ მარცვალში მოთავსებულ ცილით, როგორც ჩვილი ბავშვი დედის ძუძუთი, ვერც ნიადაგიდან და ვერც ჰაერიდან მას საზრდოს შეთვისება არ შეუძლია. აქედან ცხადია, რომ რაც დენადაც ჩანასახს მეტი საზრდო ექნება, მით უკეთესად განვითარდება. მაშასადამე, ამ მიზნისათვის გამოდგება მხოლოდ მსხვილი და მძიმე თესლი. პირიქით, მსუბუქი თესლი ვერ მისცემს ჩანასახს საკმაო საზრდოს, დაიჩაგრება და შემდეგში სუსტად განვითარდება.

აი, კიდევ რას გვეუბნება გაშიცდილება: დათესეს სამნაირი, ერთის ზომის, მაგრამ სვადასხვა სიმძიმის თესლი:

1. მძიმე თესლმა მისცა 140 ცენტი მოსავალი ჰექტარზე.
2. საშუალო სიმძიმისამ —74 ცენტი ჰექტარზე.
3. მსუბუქმა 45 ცენტი ჰექტარზე.

აქედან ცხადია, თუ რა ხელსაყრელი ყოფილა მსხვილი ნარცვლის დათესვა.

რამდენადაც თესლი მსხვილი და მძიმეა, იმდენად იქიდან ამოსული მცენარე ღონიერი და ჯანსაღია. მალე იზრდება, ადვილად იტანს ცუდ პირობებს და უსწრებს სარეველ ბალახებს. აი, რას გვეუბნება დაკვირვება ამ მხრივ. დათესეს მსხვილი, საშუალო და წვრილი თესლი. თითო აქ ცალ მარცვლიდან პასხვილ თესლის ნათესში დაიღუპა მხოლოდ 13 ცალი, საშუალოდან—31 ცალი და წვრილიდან — 57 ცალი.

ეს დაკვირვება კიდევ ბეჭდად ადასტურებს მსხვილ და ძლიერ თესლის უპირატესობას.

აგრ. ქ. ქომეთიანი.

მანდარინის სანერგის მოწყობა

(გაგრძელება *)

როცა საძირის ღერო ბატის კალმის სიმსხო შეიქნება, პირველ წელიწადს იქნება ეს, თუ მეორეს, მაშინ შეიძლება მაზედ კვირტით მყნობა.

სანერგე მყნობამდე, ე. ი. ივლისამდე თავ-თავის დროზე უნდა გაითხნოს, მიწა გაუფხვიერდეს და გათხელებული ნაკელით მოირწყოს.

საძირეები ივლისში უნდა მომზადდეს დასამყნობად; ყველა ქვედა ტოტები 6 ვერშოკის სიმაღლეზე საძირეს უნდა მოაცილოთ, სუფთად მოაჭრათ მახვილი ბალის დანით, რომ ხელი არ შეუშალონ კვირტის ჩასმის და ნამყენის შეხვევის დროს. ეს სამუშაო უმჯობესია წინდაწინვე შეასრულოთ და არა მყნობის დროს.

მყნობა

მყნობა ბევრნაირია. თუ საძირე პატარაა და მისი სიმსხო ბატის კალამს არ აღემატება, მაშინ კვირტით მყნობა სჯობია. თუ საძირე და სამყნობი ტოტი ერთ სისქის არიან, კარგია ინგლისური, წათლით მყნობა (კოპულიროვკა) ისე, როგორც ვაზის ლერწს ამყნობენ; თუ საძირე და სამყნობი ტოტი თანაბარი არ არის და საძირე დიდია, მაგალითად ცერზე მსხვილი,

*) იხ. ჟურ. „ახალი სოფ.“ № 5—6.

მაშინ უნდა ამყნოთ გაჩეხით (გაპობით), გვერდის ჩაჭრით, ტყავში და სხვადასხვა ზომის კალმით.

კვირტით მყნობა სწარმოებს ჩვეულებრივი წესით და განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ კვირტს ყოველთვის ხის ნაწილი ახლავს, ვინაიდან მანდარინის ყლორტი ჩვეულებრივ დაკუთხულია და ფარი (ამოჭრილი კვირტი) ყოველთვის ვიწრო გამოდის და ხის ნაწილის მოცილება ერთობ საძნელოა.



კვირტით მყნობა

დასამყნელი ყლორტები (კალმები) უნდა ავიღოთ კარგი და ჯანსაღი ხეებიდან, ყლორტი უნდა იყოს იმავე წლის, საკმაოდ გამაგრებული, რომელსაც კვირტები კარგად განვითარებული აქვს. მოჭრილ ყლორტის ფოთოლი მაშინვე უნდა მოვაცილოთ, რომ ყლორტი ძალე არ გამოშრეს; ფურცელს ყუნწი უნდა დაეტოვოს, რადგან მყნობის დროს ის გვჭირდება. ყლორტის ძირში და წვერში კვირტი კარგად განვითარებული და დამწიფებული არ არის, ამიტომ სამყენათ მარტო შუაგულის კვირტები ვარგა.

ყლორტები უნდა შეახვიოთ სველ ხავსში, ან სველ მჩვარში და ისე შეინახოთ სადმე გრილ ადგილას ან სარდაფში, რომ არ დაჭკნეს (გამოშრეს); ყლორტის შენახვა ასეთნაირად ათ დღემდე შეიძლება. დამჭკნარი ყლორტის კვირტები დასამყნელად არ ვარგა. შორს გადასაგზავნი ყლორტებიც ისე უნდა შეიხვიოს სველ ხავსში და გადანაჭერ ჭრილობებს წაეგლიპოს ბაღის მალამო, ან თაფლის სანთელი.

თუ ყლორტს დამჭკნარი შეხედულობა აქვს, უნდა ორიოდე საათს წყალში ჩადოთ და სალ ფერს მიიღებს, კანიც გაუსწორდება; თუ ამით ყლორტები არ გამოსწორდა, მაშინ ის მთლად გაფუჭებულია და სამყნელად ალარ ვარგა.

მყნობის წინ საძირეები 16 სანტიმეტრის (4 ვერშოკის) სიმაღლეზე მჩეხარით უნდა გაასუფთავოთ. მყნობა უნდა რაც შეიძლება დაბლა ძირის ყელთან, ამიტომ რომ საძირე ნამყენს ჭკვიით ხშირად იყრის ყლორტებს და მათი მოშორება ბევრ დროსართმევს.

კვირტით მყნობის დროს საძირეს წვერები (თავები) უნდა წაეჩქმიტოს (წაეჭრას), რომ მათი ზრდა შეჩერდეს, ორმო საკვების მეტი ნაწილი საძირის ზრდას მოუნდება, დამყნილ მანდარინის კვირტს კი ცოტა საკვები დარჩება, კარგად ვერ განვითარდება და დაიჩაგრება.

კვირტით მყნობისათვის საჭიროა განსაკუთრებული სამყენი დანა, რომელსაც ბოლოში ძვლის დეზი აქვს; დანა კარგი გალესილი უნდა იყოს.

კვირტით მყნობა

მყნობა ხდება ასე: საძირეს მიწის პირის ახლოს, ჩრდილოეთით დაუსერეთ კანი ყავარჯენისებურად რუსულ ასო




პირშებრუნებული კვირტით მყნობა

— ტ მსგავსად. შემდეგ ამავე დანის ძვლის დეზით ჭრილობას გადაუწიეთ პირი. ამოჭერით კვირტი და ჩასვით ამ ჭრილობაში; შემდეგ რაფიით კარ-

გად შეახვიეთ; ან სხვა ძაფით თუ რაფია არ გეშოვებათ. **კვირტით ნამყენს მალამოს წასმა არ უნდა.**

კვირტის ამოჭრის დროს მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ კვირტს მტვერი არ შეჰყვეს, თუ მტვერი შეყვა, ის აღარ იხეირებს (იხ. სურ. 1).

თუ საძირეს ჩრდილოეთის მხარე არ უვარგა, მაშინ შეიძლება დასავლეთის, აღმოსავლეთის და იშვიათ შემთხვევაში სამხრეთის მხარე.



გაჩეხით მყნობა

ყავარჯნისებური ჭრილობა საძირეზე შეიძლება გაკეთდეს გადაბრუნებულად. ამ შემთვევაში ფარიც კვირტით მობრუნებულად იჭრება (იხ. სურ. 2).

მყნობა უნდა დილით ადრე, ან საღამოს; ღრუბლიან, გრილ დღეში კი შეიძლება მთელი დღის განმავლობაში.

8-10 დღის შემდეგ სახვევი ნამყენს უნდა მოეშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში სახვევი ჩაჭრის ღეროს და ქარი ადვილად გადატეხს.

ნახარები კვირტი საღად — მწვანედ გამოიყურება, ფოთლის ყუნწი ან ჩამოვარდნილია, ან შეყვითლებული, ზედ ფამფალებს და ხელის შეხებით ჩამოვარდება. გამხმარი კვირტი შავად გამოიყურება, ყუნწიც ზედ არის მიმხმარი და მაგრად ზის. თუ ნამყენს არ უხარია, შეგვიძლია იმავე ზაფხულში ხელმეორედ ვამყნოთ.


მყნობის დროს საძირეზე ხშირად ორ კვირტს ამყნობენ, იმ ვარაუდით, რომ ან ერთი იხარებს, ან მეორე; თუ ორივემ იხარა, გაზაფხულზე ერთს, რომელიც უკეთესია, იმას დატოვებენ. თუ ორივე ერთი ტანისაა, უპირატესობას ქვეითა ყლორტს აძლევენ.

დამყნილი კვირტი იმ ზაფხულში მხოლოდ იხარებს, ზრდას კი მეორე გაზაფხულიდან იწყებს; ზამთარში ის კვირტის სახით რჩება.

კარგად დახელოვნებულ მყნელს დღეში შეუძლია ამყნოს კვირტით 500 ძირი და, თუ მომხმარე — შემხვევი ეყოლება (ქალი ან მოზარდი ბავშვი) 800-ამდეც.

ნამყენების მოვლა

მყნობის შემდეგ საძირეებს მაშინვე წააჭრიან ყველა ტოტს, დაახლოებით ერთ მესამედს, რომ ტოტებში ძიმავალი საკვები მასალა დაგუბდეს და დამყნილმა კვირტებმა ისარგებლოს, მეორე წელიწადს გაზაფხულზე ყველა საძირე გახარებული კვირტებით იჭრება 4-8 სანტიმეტრის (1-2 ვერშოკი) ზევით და კვირტები მაშინვე იწყებენ გაღვიძებას. ცეროზე გადაჭრა უნდა ადრე გაზაფხულზე თებერვალში და მარტში. მაისში ნამყენები



წათლით (ირიბათ) მყნობა

უნდა ცალათვალიეროთ და მანდარინის ნამყენი ამოსული ყლორტი, რომელსაც სიმაღლე 8 სანტიმეტრს (2 ვერშოკს) უდრის, უნდა მიეკრას საძირის ცეროზე, რომ მცენარე სწორად გაიაზრდოს, არ გამრუდდეს და ქარმა არ გადატეხოს; ყველა სხვა საძირის

ყლორტები, როგორც ნამყენს ქვევით, ისე ზევით უნდა მოშორდეს. თუ ცერზე მეკრული ყლორტი გამრუდდა, მაშინ საჭიროა პატარა სარის (ჭიგოს) მიდგმა, რაზედაც ნამყენი ერთ ორ ადგილზე უნდა შეიკრას.


ნამკენის დავლა ყოველ თვეს უნდა განმეორდეს მთელი ზაფხულის განმავლობაში, ამიტომ რომ საძირეზე განსაკუთრებით პირველ წელიწადს ხშირად ყლორტები ამოდის; ეს ყლორტები ძირში უნდა დაეგლიჯოს, ჩამოეცალოს საძირეზე გამოსულ ყველა ყლორტი, რომ საძირე არ დაასუსტონ და მთელი საკვები მასალით ნამყენმა ყლორტებმა ისარგებლონ.

როცა ნამყენი ყლორტები გაიზრდებიან 16-20 სანტიმეტრის (4-5 ვერშოკის) სიმაღლისა და მიიღებენ შვეულს ძიმართულებას, მაშინ საძირის ცერა საჭირო აღარ არის და სულ ძირში უნდა შეიჭრას ნამყენის ზევით.

შემოდგომაზე, დამყნის შემდეგ მეორე წელიწადს, შეიძლება ერთწლოვანი ნამყენი სამუდამო ადგილზე გადარგათ.

ᲙᲐᲚᲛᲘᲗ ᲛᲧᲜᲝᲑᲐ

მეორე წელს ისეთი მომცდარი საძირე, რომელიც კვირტით სამყნელად აღარ ვარგა, უნდა ვამყნოთ კალმით. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია მყნობა გაჩეხით (გა-



ტყავში და მიტმასნით მყნობა

პობა) — კალმით, რაც თითქმის ყველა სოფელში იციან. საძირეს მიწის ზედაპირთან სწორად გადახერხავენ, გაჩეხენ 2 სანტიმეტრზე (ნახევარ ვერშოკამდე) და შიგ ჩასვამენ სამ კვირტიან კალამს, რომელსაც ბოლო პალოსავით (სოლივით) ჩათლილი აქვს, რომ ნახერხში მჭიდროდ ჩაჯდეს.

თუ საძირე ცერზე მსხვილია, შეიძლება ორი კალამიც ჩაუსვათ; ქვევითა კვირტი გარედ უნდა იყურებოდეს. ასეთივეა ქერქის (კანის) ქვეშ მყნობაც, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ საძირე არ იჩეხება, არამედ კალამი ისმება ქერქის ქვეშ, ან საძი-

რეს ააჭრიან ქერქს და ცერად წათლილ კალამს ზედ მიატმასნებენ. (იხ. სურ. 3).

თუ საძირე და დასამყენი კალამი ერთი სისხოსია, მაშინ ის შეიძლება ვამყნოთ ინგლისურად, წათლით (კოპულიროვკა); როგორც საძირე, ისე სამყენი წათალეთ ცერათ ისე, რომ ერთმანეთს რომ მიადგთ, მთელ ტოტს წარმოადგენდეს; ზოგჯერ გაჩეხავენ (გასერავენ) ხოლმე ერთსაც და მეორესაც, გადააბამენ ერთმანეთს (ისკ, როგორც ვაზს ამყნობენ), შეახვეკენ და წაუსმენ მალამოს. საზოგადოთ კალმით ნამყენს მალამო კარგად უნდა წაუსვათ (იხ. სურ. 5).

შემდეგ კალმით ნამყენს ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორც კვირტით ნამყენს. კალმით ამყნობენ აღრე გაზაფხულზე, სამყენი კალმები კი ერთი ორი კვირით უფრო აღრე უნდა აიჭრას და მიწაში ჩაფლული მწყობრად ინახებოდეს.

ყლორტით (კალმით) გამრავლება შეიძლება, როგორც გაზაფხულზე, აგრეთვე შემოდგომაზედაც. ამისათვის იღებენ ერთწლოვანს, კარგად შემოსულ (მწიფე) ყლორტებს გასულ შემოდგომიდან გაზაფხულამდე; დასჭრიან 12-16 სანტიმეტრის (3-4 ვერშოკის) სიგრძის კალმებს, შეაცლიან მარტო ფურცელს, გარდა ზევითი ორი ფურცლისა, ყუნწებს კი უტოვებენ და რგავენ საგანგებოდ გამზადებულ კვალზე; კვალში მიწას უნდა ერიოს ბლომად სილა (ქვიშა), რომელიც შველის კალამს ფესვების გადგმაში. კალამს რგავენ იმ სიღრმეზე (სამი მეოთხედი მათი სიმაღლისა, რომ გარეთ მიწის ზევით დარჩეს მარტო ერთი ან ორი კვირტი.

ბაღებში კალმები რჩება ერთი წელიწადი, მას შემდეგ უნდა გადაირგოს დანიშნულ ადგილას. კალმების გასახარებლად საჭიროა პირველ ხანებში ჩრდილი, მიწის ზედა პირის წაფარება ნაკელით ან ფოთლით, რომ სინესტე ნიადაგმა დიდხანს შეინახოს, ამასთანავე სხვა მოვლა — გამარგვლა, გაფხვიერება და მორწყვა (მარტო გაზაფხულზე) თავის დროზე უნდა სწარმოებდეს, როგორც წესია; სუსხიან ზამთარში კალმებით დარგულ კვალს რამე უნდა გადაეფაროს, შეიძლება ფოთლოვანი მცენარის ტოტებიც.

ყველაზე უფრო კალმით ხარობს ლიმონი, შემდეგ მანდარინი და უფრო ცუდად ფორთოხალი.



ხეზევე გადაწიდვნით გამრავლება

ნარინჯოვანი მრავლდება აგრეთვე გადაწვენით (გადაწიდვნით); გამრავლების ეს წესი უფრო გავრცელებულია ბათომის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ფორთოხლის და ლიმონის გასამრავლებლად. ამისთვის მსხმოიარე დედა-ხეზე აარჩევენ 2-3 სანტიმეტრის (ნახევარ ვერშ.) სისქის ტოტს, რომელზედაც არის სანაყოფო რამოდენიმე ნასკვი; ამ ტოტს ირგვლივ რგოლისებურად შემოაცლიან კანს ერთი თითის დადების ოდენას და იქ შემოაკრავენ მეშს, ტყავს ან კანაფს, რომ კანის კიდეები არ შეიზარდნენ; შემდეგ ამ ტოტს ჩასვამენ რაიმე ჭურჭელში და შიგ ჩა-

ყრიან მიწას. ამისათვის კარგია შუაზე გატეხილი ქოთანი, დოქი და სხვა თიხის ჭურჭელი, ან ხის ქერქი, თუნუქი (ყუსტი), რომელსაც შემოაკრავენ ტოტს კანაფით ან მავთულით. (იხ. სურ. 5).

გადაწიდვნა უნდა მაისში, ერთი წლის განმავლობაში ტოტი იკვებება ისევ დედა-მცენარისაგან, შემოდგომამდე ძას უკვე თავისი საკუთარი ძირები გამოსდის და შეიძლება მოაშოროთ დედა-მცენარეს და გადაიტანოთ საცა გინდათ.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ

(გაგრძელება*)

ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ

მარწყვის გამრავლება შეიძლება სამნაირად: **ულვაშებით** (პრწკლებით), **ბუჩქის დაყოფით** და **თესლით.**

ულვაშებით გამრავლება

საზოგადოდ ულვაშებით (პრწკლებით) გამრავლება მიღებულია მსხვილ ნაყოფა მარწყვის გამრავლების დროს. ეს გამრავლების წესი ყველაზე უფრო ადვილი და გავრცელებულია.

როგორც ვიცით, მარწყვის მთავარ ბუჩქს უკეთდება ულვაშები, ამ ულვაშებსაც ალაგ-ალაგ აქვს ნასკვები, საიდანაც ვითარდება ახალგაზრდა მცენარეები.

აი, ამ ახალგაზრდა მცენარეებს ხმარობენ მარწყვის გასამრავლებლად.

ახალგაზრდა მცენარეების გასანვითარებლად ულვაშებს ამაგრებენ პატარა-პატარა კაეებით წინასწარ კარგად გაფხვიერებულ მიწაზე, როგორც ნაჩვენებია სურათ 1. ახალგაზრდა მცენარეები მალე ინვითარებენ ფესვებს და დედა-ბუჩქისაგან მოცილების შემდეგ გადარგავთ საგანგებოდ მომზადებულ ადგილას.

გადასარგველად მიღებულია აგვისტოს თვე

თუ მარწყვის ბუჩქის ულვაშებს კარგად გაფხვიერებულ მიწაზე მოუხდა ყოფნა, საჭირო აღარ ხდება მათი მიწაზე მიმაგრება, ის თავისით იკეთებს ფესვებს და ანვითარებს ახალგაზრდა მცენარეებს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ახალგაზრდა მცენარის დედა-ბუჩქისაგან მოშორება და მაშინათვე მუდმივ ადგილას გადარგვა.

როცა ჩვენ მარწყვს ულვაშებით ვამრავლებთ და გვინდა საღი და ხარბად მოზრდილი ბუჩქი მივიღოთ, ამისათვის ყოველთვის პირველად გამოსული, მსხვილი და კარგად მოზარდი ულვაში უნდა ავიღოთ და იმ ადგილას, სადაც ულვაშს პატარა-პატარა ნორჩი



სურ. 1. მარწყვის გამრავლება ულვაშებით

ფოთლებიანი მუხლი ემჩნევა, პატარა კავით მიაკრავთ ნიადაგზე. ამ მუშაობის შესრულება დამოკიდებულია ჰავაზე. თბილ და ცხელ ადგილებში მაისის დამლევამდე უნდა შესრულდეს, ცივ ადგილებში კი ივნისის დამლევამდის.

საღი და მსხვილი ნერგის მიღება შეიძლება ორ შემთხვევაში: 1. როცა ერთ ბუჩქიდან ერთს ან ორ ულვაშს (პრწკალს) გადააწვენთ და მიიღებთ არა უმეტესს ორი ახალი მცენარისა, დანარჩენ ულვაშებს კი სრულებით

*) იხ. ჟურ. „ახ. სოფ.“ № 5—6.

აცლიან. ულვაშებიდან მიღებული ნორჩი მცენარე რჩება თავის ადგილზე მომავალ გაზაფხულამდე; 2. მეორე შემთხვევაში ნორჩ მცენარეებს დაჩრდილებენ. ამისათვის წინასწარ დაამზადებენ კარგად განოყიერებულ და გაფხვიერებულ კვლებს და ვიდრე ნორჩ მცენარეებს ფესვები კარგად გაუვითარდებოდეს, გადარგავენ ამ ახალ კვლებზე.







სურ. 1. წესიერად დარგული მარწყვის ბუჩქი სურ. 2. ღრმად დარგული ბუჩქი სურ. 3. ზერელედ დარგული ბუჩქი

მცენარეებს რგავენ მწკრივად, ერთმანეთზე 12 სანტიმეტრის (3 ვერშოკი) დაშორებით და მანამ მუდმივ ადგილზე გადარგავდეთ, კარგად უნდა მოუაროთ: დაჩრდილოთ, მარგლოთ, ნიადაგი ყოველთვის გაფხვიერებული უნდა იყოს და, თუ საჭიროა ხანდახან მორწყოთ. ამ პირობებში ნორჩი მცენარეები კარგად განვითარდებიან და კარგად მოიდგამენ ფესვებს.

მარწყვის დაჩითილება, ანუ ბუჩქის დაყოფით გამრავლება

მარწყვის დაჩითილება ხდება ზაფხულში, დიდი სიცხეების დროს. ამ დროს ნორჩი მცენარის გადარგვა დიდი სიფრთხილით უნდა. ნერგი წვიმიან ან ღრუბლიან დღეში უნდა გადირგას. თუ ასეთი დარი ხელს არ გიწყობთ, მაშინ ნერგი დილით ან საღამოთი უნდა გადარგათ.

ზაფხულში გადარგულ ნერგს აუცილებლივ საფარი სჭირდება დასაჩრდილებლად. ამისათვის ფიჩხი და ზედ ეხვადასხვა ჩალის წაყრა საკმარისია.

ჩითილი დილა-საღამოობით უნდა მორწყათ, რომ ნორჩი მცენარე არ დაჭკნდეს.

გასამრავლებელი მარწყვის დედა-ბუჩქი 3—4 წლისა უნდა იყოს, თუ ამ ხნის ბუჩქები არა გვაქვს, ორ წლისანი მაინც უნდა იყოს. მაგალითად, თუ მარწყვი აგვისტოში გადარგული იყო, შეგვიძლიან მომავალ გაზაფხულს მათი ულვაშები გადავაწვინოთ და ახალი მცენარეები მივიღოთ.

იმ შემთხვევაში, თუ კვლებზე უკვე დაბერებული ბუჩქია, ასეთი ბუჩქები უნდა ამოყაროთ და დაარჩინოთ მხოლოდ საღი მცენარეები.

ამის შემდეგ ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს და მორწყას. დარჩენილი ბუჩქები ბევრ საღ ულვაშს გაიკეთებს, რომლებისაგანაც დაუჩითილებლად შეგიძლიათ მიიღოთ კარგი ნერგი.

კვლებზე არ უნდა დაიტოვოს ბევრი დედა-ბუჩქი და თვალყური უნდა ადევნოთ, რომ ულვაშებმა ფესვები, სადაც მოხდება იქ არ გაიკეთოს.

ამ წესით ჩვენ არამც თუ საქმეს ვიადვილებთ, არამედ ვსარგებლობთ დედა-ბუჩქის უკანასკნელი ძალით, რომელიც უნდა ამოგვეთხარა და გადაგვეყარა.

თესლით გამრავლება

მარწყვს და ხენდროს მხოლოდ იმ შემთხვევაში ამრავლებენ თესლით, როცა ხელოვნურად უნდათ ახალი

ჯიშის გამოყვანა, ან როცა რომელიმე ჯიში ულვაშებს არ იკეთებს.

ზოგიერთი თვიური მარწყვი უულვაშოა, სათესლე მარწყვის ხაყოფი კარგად დამწიფებული, მსხვილი და ადრი უნდა იყოს. შემოსულ ნაყოფს მოკრეფენ და შეინახავენ მანამდე, სანამ ლპობას არ დაიწყებს.

მერე ხელით გასრესავენ, ცოტაოდენ წყალს დაასხამენ, აურევენ და გარეცხავენ სუფთა წყლით. წყლის გადაწურის დროს ნაყოფის სირბილე და ფუჭი თესლი თან გადაჰყვება და დარჩება საღი თესლი.

გარეცხილ თესლს გაშლიან სუფთა ფიცარზე და აშრობენ ჩრდილში, სადაც ჰაერის მოძრაობაა, გამშრალ თესლს ჩაყრიან პარკუჭში და შეინახავენ ისეთ ადგილას, სადაც თაგვი ვერ მიუდგება.

თ ე ს ვ ა

მარწყვის თესლის დათესვა შემოდგომით სჯობია. შეიძლება ყუთებში, რომელშიაც ჩაყრიან სილა (ლამი) ნარევ გადამწვარ სასუქს. მარწყვი ითესება სქლად და მკვრივად, ზემოდან თხლად უნდა წააყაროთ ისეთივე მიწა.

დათესილი ყუთი უნდა დადგათ ოთახში, ბნელ კუთხეში. ყუთი მუდმივ ნესტიანი უნდა იყოს, ახლად ამოსული მარწყვი უნდა გადირგას მეორე ყუთში, 2 სანტიმეტრის დაშორებით ერთმანეთისაგან.

ჩითილიანი ყუთი უნდა დაიდგას მზიან ადგილას, ჩითილი შეიძლება კარგად მომზადებულ კვლებზედაც გადირგას მყუდრო ადგილას, აქაც მწკრივად უნდა დაირგოს მარწყვის ჩითილი.

ჩითილს ამ დროს მოვლა არ უნდა მოაკლოთ: მორწყვა, გამარგვლა, და ნიადაგის გაფხვიერება აუცილებელია. სამუდამო ადგილზე გადარგავთ იმავე წლის დამლევს ან გაზაფხულზე. მცენარის ამოღება კარგია რკინის ოთხთითა ფიწლით: ფესვები ნაკლებ ზიანდება.

გ ა დ ა რ გ ვ ა

მუდმივ ადგილზე გადარგვა მარწყვისა შეიძლება ზაფხულის ბოლოს, ან ადრე გაზაფხულზე.

როცა მარწყვს აგვისტოში ვრგავთ, ერთ წელიწადს ვიგებთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ღონიერი ნერგი, რომ შემოდგომის სიცივეების დაწყებამდე, კარგად მოიკიდოს ფეხი. ამ დროს დარგული ნერგი, თუ ხელსაყრელი პირობები შეხვდა, შემდეგ ზაფხულსვე მოგვცემს პატარა მოსავალს.

ზაფხულზე გადარგვა მაშინ სჯობია, თუ აგვისტოსთვის ნერგი სუსტია, ან, როცა ნერგი თქვენ თვითონ არ გამოგყავთ და ყიდულობთ. გაზაფხულზე დარგული ნერგი პირველ წელიწადს ცოტაოდენ ნაყოფს იძლევა, მაგრამ შემდეგ წლებში მეტ მოსავალს მოგცემთ, ვიდრე შემოდგომაზე დარგული მცენარეები.

მებაღე მ. ციცაძე.




ახალგაზრდა ჩაის გუჩქის მოკვლა

ჩაის პლანტაციის მოკვლა პირველ წელს

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მეურნემ პლანტაციას პირველ წელს.

ჩაით გამწვანებული ადგილი უნდა შემოიღობოს, რომ ჩაის დათესვის შემდეგ, ვიდრე ნორჩი ყლორტი ამოვიდოდეს, პლანტაციაში არც საქონელი და არც ხალხი არ შეეიდეს. კურდღელიც ძლიერ აზიანებს პლანტაციას.

ჩვეულებრივ მცენარის ამოსვლა იწყება მაისიდან და თავდება 1 ივნისამდე.



ახალგაზრდა გადასარგავი ჩაი

ამოვა თუ არა ახალგაზრდა მცენარე, პირველ ყოვლისა უნდა იზრუნოთ მის დაჩრდილვაზე, რადგან ახალგაზრდა მცენარე ძლიერ ნაზია და ვერ უძლებს მზის სხივებს.

დასაჩრდილავად იხმარება გვიმრა. მაგრამ არც ძლიერი დაჩრდილვა ვარგა, მაშინ მზის სხივები სრულებით ვერ მისწვდება ახალგაზრდა მცენარეს და ჰაერის მოძრაობაც ნაკლები იქნება, ეს კი მცენარისათვის არ ვარგა.

შემდეგ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის პლანტაციის სუფთად დაცვას.. სარეველა ბალახები უნდა მოშორდეს ფრთხილად ხელით ისე, რომ არ დაზიანდეს ყლორტი.

როდესაც ჩაის ღერო ორ-სამ ფოთოლს გაიკეთებს, დაჩრდილვა თანდათან უნდა შეასუსტოთ. ამიტომ გვიმრა თანდათან უნდა მოაშოროთ ღრუბლიან დღეებში.

თუ სარეველა ბალახი ისევ მოერია, საჭიროა პლანტაციის გათოხვნა, ნაგრამ დიდი სიფრთხილით, რომ ნორჩი მცენარე არ დააზიანოთ. პლანტაცია უნდა გაითოხნოს ოთხ ნაბეკვარ სანტიმეტრის (ერთი ვერშოკის) სიღრმეზედ. ყლორტის ახლოს დარჩენილი ბალახი ხელით უნდა გაიმარგლოს.

ჩვეულებრივ ზაფხულის განმავლობაში მეურნე სარეველა ბალახებს პლანტაციაში ხელს არ ახლებს და სექტემბერში თივად სთიბავს. ეს ყოვლად დაუშვებელია. ბალახი აუარებელ საზრდოს ართმევს პლანტაციებს.

ეს ყველ ადგილებში ახალგაზრდა ჩაის პლანტაცია აუცილებლად დასუსტდება და საკმაო ფოთოლს ვერ გამოისხამს.

არ შეიძლება ერთი და იმავე დროს ჯარგი პლანტაციაც გქონდეთ და კარგი თივაც მიიღოთ. ეს თავის მოტყუება იქნება.

გარდა ამისა ჩაის პლანტაციაში არ უნდა დაითესოს სხვა რაიმე მცენარე, განდაც, რომ მეურნეს ამ მცენარეებისაგან შემოსავალი ჰქონდეს, ეს საბოლოოდ მაინც საზარალოა.


მაგრამ არის ისეთი მცენარეები, რომლებიც პირიქით ანაყოფიერებენ, მიწას, ასეთია: სოია, ხანჭკვალა და სხვა. ამ მცენარეთა თესვა პლანტაციაში საჯარგებლოა, მაგრამ უნდა დაითესოს თხლად.

საწრეტ არხის და ტერასების მოკვლა

პირველ წელში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საწრეტ არხების გაწმენდას. ხშირი წვიმების გამო, არხები სილით და მიწით ივსება და თუ არხი დროზე არ გაიწმინდა, წვიმის წყალი პლანტაციაში შევა და გააფუ-

ებს მას. ყოველ დიდი წვიმის შემდეგ, თხრილი უნდა ამოიწმინდოს.

აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წვიმის ან სხვა მიზეზით ბუჩქს მიწა არ შემოეცალოს. დროგამოშვებით გატიტვლებულ ბუჩქის ძირს მიწა უნდა შემოეყაროს.



დასარგავად გამზადებული ჩაის ბუჩქი

ტერასების მოვლასაც ცოდნა უნდა. ტერასების კიდეების დათხრნა არ შეიძლება, წვიმა ადვილად ჩამორეცხს. ტერასებზე ამოსული ბალახი უნდა გაითიბოს და იქვე დასტოვოთ: ბალახი დალპება და ესეც ნიადაგს გაანაყოერებს.

ჩაის პლანტაციის მოვლა მეორე წელს

მეორე წლის დასაწყისში, თებერვლის ბოლოში ან მარტის პირველ რიცხვებში, ზოგიერთ ჩხირთან ორი სამი მცენარე ამოდის. ორი და სამი მცენარის დატოვება არ შეიძლება, ისინი ერთმანეთს დააჩაგრებენ. საჭიროა ზედმეტი მცენარის ამოღება და მოცდენილ ადგილას გადარგვა.

საერთოდ ერთ ბუდნაში ერთი მცენარის მეტის დატოვება არ შეიძლება.

მცენარის ამოთხრა და სხვა ადგილას გადარგვა სიფრთხილით უნდა, რომ ფესვები და ფოთლები არ დაუზიანდეს. ბუდნიდან ზედმეტი მცენარის ამოღების შემდეგ ჩხირები უნდა ამოაძროთ და მიწაც გაასწოროთ.

თუ ბუჩქი დაგრძელდა, უნდა გადაჭრათ 18 სანტიმეტრის (დაახლოებით 4 გერშ.) სიმაღლეზე. გადასარგავ მცენარეს უნდა წაეჭრას წვერი და ფესვები დაუმოკლდეს (იხ. სურათი). ასეთი მცენარე უფრო კარგად იზრდება.


ეცადეთ მცენარის ფესვები ჩარგვის დროს ქვეითკენ იყოს მიმართული და არა გვერდზე ან ზემოთ ამოშვერილი. დარგვის დროს ერთი ხელით მცენარე უნდა დაიჭიროთ, მეორე ხელით კი მიწა უნდა ჩაიყაროს და მსუბუქად შემოიტკეპნოს.

გადარგვა წვიმიან ან მოღრუბლულ დღეებში სჯობია.

მეორე წელს პლანტაცია რამდენჯერმე უნდა გაითოხნოს, გათოხნის სიხშირე აქაც დამოკიდებულია სარეველა ბალახების გავრცელებაზე.

თუ პირველ და მეორე წელს პლანტაცია ხეირიანად მოვლილი არ იქნება, შემდეგ დანაკლისის გამოსწორება ძნელი გახდება.

აგრონ. ვ. ჯაში.



შინაური ფრინველი და მისი მტრები

შინაურ ფრინველს გლეხის ოჯახისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ვეცოდოთ გინდა კვერცხი და ხროცი. ამაზე მარგებელი, ნოყიერი საჭმელი სხვა არც გვეგულება. კვერცხის გული შეიცავს ისეთ ივშვიათ ნივთიერებებს, რომლებიც სხვა საჭმელში არ მოიპოვება და რომლებიც ძალიან ესაჭიროება მეტადრე ბავშებს ძვლების და ჩონჩხის გასამაგრებლად. კვერცხიდან რუსეთში და ევროპა - ამერიკაში აკეთებენ ერთგვარ ყუათის მომცემ ფხვნილს, ავადმყოფ და სუსტაგებულების ადამიანებისათვის.

ფრინველის ხორცი ყველა შინაურ და გარეულ პირუტყვის ხორცზე მარგებელი და ადვილად მოსანელებელია.

ამიტომ ექიმები ავადმყოფებს და რჩენაში შესულებს ქათმის წვენს და ქათმის ხორცს უწერენ.

გარდა ამისა ფრინველის განავალი ყველაზე უკეთეს სასუქად ითვლება. ცხენის ნეხვზე ის ოთხჯერ მარგებელია მცენარეთათვის.

დღევანდელ მდარე ჯიშის, უგარგისს მოვლა-შენახვის და კვების პირობებშიც, ჩვენებური ფრინველის შემოსავალი სულზე 2 მანეთს უდრის, ხოლო ხარჯი — 1 მანეთს. წმინდა შემოსავალი შინაური ფრინველისაგან გვაქვს, მაშასადამე, 1 მანეთი ფრთაზე.

ჩვენი ქვეყნის შინაური ყოველგვარ ფრინველის რიცხვი დაახლოვებით 4 მილიონს უდრის.

ამის მიხედვით მთელი საქართველოს წმინდა შემოსავალი შინაურ ფრინველისაგან 4 მილიონ მანეთამდე უნდა ვიანგარიშოთ.

თუ ახლა შევადარებთ მესაქონლეობის სხვადასხვა დარგების შემოსავლიანობას, დავინახავთ, რომ ამ ერთის შეხედვით უმნიშვნელო დარგს, შინაურ ფრინველს, მესაქონლეობის ექვს დარგთა შორის მეორე ადგილი სჭერია შემოსავლიანობის მხრივ.

1925-26 წელში შემოსავალი იყო;

მსხვილძუძუ საქონლისაგან — 19 ნახევარი მილიონი მანეთი.

ფრინველისაგან . . .8 „

ცხვრისა და თხისაგან . 6 „

მეაბრეშუმეობისაგან . 3 „

მელორეობისაგან . 1 ნახ. „

მეფუტკრეობისაგან . 256 ათასი მანეთი.

საყურადღებო ისიც არის, რომ ფრინველის ზოგიერთი ნაწარმოები — კვერცხი და ბუმბული უცხო ბაზარზედაც გაგვაქვს. 1913 წელში ჩვენ გაგვიტანია 52 ათასი ფუთი კვერცხი, 2 მილიონ მანეთის ღირებულების.

რაღა თქმა უნდა, რომ ახლანდელ პირობებში, როცა შინაური ფრინველი კარგ მოვლას და შენახვას მოკლებულია, და თავისით უხეიროდ იკვებება, კარგ შემოსავალს და სარგებელს იძლევა, მაშინ უფრო მეტს მოგვცემს, როცა კარგი ჯიშიანი ფრინველის მოშენება, წიწილების გამოყვანა, გონივრული შენახვა და კვება, საქათმეების გაკეთება და მოწყობა და მრავალი სხვა გვეცოდინება.

ეს კიდევ ცოტაა, ყველაზე საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა გადამდები სენი უჩნდება შინაურ ფრინველებს და როგორ უნდა ვებრძოლოთ როცა ისინი გაჩნდებიან, რადგან ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ჩვენებური ფრინველის უდიდესი და უსაშინელესი მტერი ბევრი სხვადასხვა გადამდები სენია.

შინაურ ფრინველებს ისეთი გადამდები სენები უჩნდებათ, რომ ზოგი მათგანი ძალიან სწრაფად ედება და ანადგურებს, როგორც, მაგალითად, ხოლერა და ჭირი, ზოგი სენი მძიმეთ მიმდინარეობს და ნელ-ნელა სპობს.

ასეთია მაგალითად, ყვავილი, ზოგი ემტერება უფრო წიწილებს და ეარიებს, მაგალითად, თხიპა და ტკიპი.

რადგან შინაურ ფრინველის სენი ერთობ ბევრია, ჩვენ ამ წერილში შეეხებით საერთო საკითხებს, სახელდობრ, თუ როგორ უნდა შეამჩნიოს პატრონმა გადამდები სენი ფრინველებს და რა ღონისძიება უნდა მიიღოს მან ექიმის მოსვლამდე, როგორ მოახდინოს დეზინფექცია და სხვა.

ყველა გადამდები სენი საერთოდ სწრაფად ვრცელდება. სენს იწვევს პაწია უჩინარი ცოცხალი არსება, რომელსაც **ბაქტერია** ანუ **მიკრობი** ჰქვიან. ამათი დანახვა შეიძლება მხოლოდ მიკროსკოპით, ესე იგი ხელსაწყოთი, რომელიც საჯანს ათასამდე და კიდევ მეტად ადიდებს.

გადამდები სენის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს კიდევ ის, რომ არასოდეს ის არ ჩნდება უმიზეზოთ, საჭიროა მიკრობის ან მისი კვერცხის შემოტანა ამა თუ იმ გზით გარედან.

ხშირათ სენის შემოტანა ბაზარზე ნაყიდი ავადმყოფ ფრინველისაგან ხდება, ხან შეიძლება ადამიანმაც შემოიტანოს ფეხით, თუ ჭირიან საქათმეში ან ეზოში დარჩა რამდენიმე ხანს.

ხშირად სენი ისე ჩუმად შეიპარება საქათმეში, რომ პატრონი ვერ მიმხვდარა, აიდან და როგორ შეეპარა ის. ასეთი ჩუმი შემოპარვა სენისა კი ძალიან ადვილი გასაგებია ჩვენთვის: გადამდებ სენს აქვს ერთი ისეთი თვისება, რომ პირველ დღეებში დაავადებულ ფრინველს სულ ვერ შეამ-



სურ. 1. ცალ-ცალკე მყოფი მიკრობები, სურ. 2. ერთმანეთზე მძვივით გადაბმული მიკრობები, სურ. 3. ჩხირივით მოყვანილი მიკრობები, სურ. 4. კვერცხის მოყვანილობის მიკრობები, სურ. 5. ბურლის მოყვანილობის მიკრობები

ბაქტერიები სხვადასხვა ფორმისაა: ზოგი მრგვალია ბურთივით და ან თვითეულათ ცხოვრობენ, ან ერთმანეთზე არიან გადამბულები მძივივით, ზოგი კვერცხის მოყვანილობისაა, ზოგიც სწორე ან მოღუნულს ჩხირს მოგვაგონებს და ზოგიც ბურლს წააგავს.

ბევრი ბაქტერია მოიპოვება ავადმყოფის სხეულში და სხეულის განავალსა, ნერწყვსა, შარდსა, ცრემლსა სისხლსა და ხორცში. მათით არის დასვრილი ის ადგილი და საგნები, საცა ავადმყოფი იმყოფებოდა და რასაც ის შეეხო. გადამდები სენის გაჩენის დროს დასვრილია, უეჭველია, საქათმე, ეზო, საბუდრები, ქანდარები და სხვა.

ჩვენთ გარეგნულათ, რომ მას შეყრილი აქვს სენი და იმავე დროს-კი ის ძალიან საშიშია, რადგან ადვილად სდებს სენს სხვა ფრინველებს.

როგორ უნდა მოიქცეთ, როცა შეატყობთ, რომ ფრინველებს გაუჩნდა გადამდები სენი და თითო ოროლა იხოცება.

პირველ ყოვლისა თქვენ უნდა გაყოთ პატარა ჯგუფებათ, ან თუ შეგიძლიათ, თვითეული ფრინველი ცალკე მოათავსოთ გალიებში, წნულებში და ათვალიეროთ ორი კვირის განმავლობაში. ამ დროს თქვენ უნდა კვებოთ დაღერღილი (დაროშვილი) ქერის ჭაშით და ასვათ შემჟავებული წყალი (10 წვეთი მარილის მჟავა

ერთ ჭიქა წყალზე); გაუსუფთავეთ ფეხები და ნისკარტი კარბოლის მჟავას ხსნარით (1 გირვანქა კრისტალიური კარბოლის სიმჟავე 1 ვედრო წყალში გახსნილი), ასხურეთ ესევე ხსნარი ფრთებზედ.

როცა შეატყობთ ავადმყოფებს, გააცალკევეთ ესენი გალიიდან.

როცა მწვავე-გადამდები სენია და ამას ადვილათ შეატყობთ, რადგან ავათმყოფი ყველა იხოცება ერთბაშათ, მაგალითად ხოლერის და ჭირის დროს, მაშინ ყველა ავათმყოფი დაკალით, დაასხით ნავთი, დაწვით და ჩამარხეთ მიწაში არშინ-ნახევრის სიღრმეზე.

თუ სენი უფრო სუბუქია, როგორც, მაგალითად, ტიფი და ყვავილი, მაშინ ავათმყოფს უნდა უწამლოთ, რადგან წამლობით შეგიძლიათ ბევრი გადაარჩინოთ. ამ შემთხვევაში ავათმყოფები ცალკე უნდა მოათავსოთ და მომვლელი ცალკე მიუჩინოთ. ავათმყოფების შეხების შემდეგ საღებს ალარ უნდა მიეკაროთ დეზინფექციის გაუკეთებლივ. ჯერ უნდა დაიბანოთ ხელები საპნით და შემდეგ ისხოთ მთელ ტანზედ და უმთავრესად ხელებზე კარბოლის მჟავას ხსნარი.

საცა ავათმყოფები გყავდათ, იმ საქათმეს უნდა გაუკეთოთ დეზინფექცია.

დეზინფექციის მოხდენამდე, საფუძვლიანად დაგავეთ და დაწმინდეთ საქათმე და ეზო, მოაგროვეთ ერთ ალაგას ნაგავი და განავალი. დაგვის შემდეგ 4 სანტიმეტრზე (ერთ გერშოკზე) აფხიკეთ თოხით მიწა და ესეც მოახვეტეთ ნაგავთან. ჩამარხეთ ეს ნაგავი ლეშებთან ერთად მიწაში. რაც რამე ძველი ნივთებია საქათმეში ან ეზოში (საბუდარები, ქანდარები, ბოძები, ფიცრები, გეჯები, ცოცხები, ძონძები და სხვა) ყველა უნდა დაწოთ. დანარჩენი ნივთები. აგრეთვე კედლები, იატაკი, ჭერი, კარი, ჭურჭელი, საიდანაც საჭმელს სჭამდა ან წყალს სვამდა ფრინველი, გაფხიკეთ დანით ან გარანდეთ და დამდუღრეთ ნაცარწყალიით, ან მოასხით კირ-წყალი. კირწყალიც უნდა მოესხას მთელ ეზოს.

დახოცილ ფრინველებში სენის მიკრობი დიდხანს ცოცხლობს, ამიტომ მათი გადაგდება ქუჩაში, მდინარეში, მინდორში ან ეზოში, როგორც ეს ჩვეულებათ აქვთ ჩვენებურ სოფლებში, ყოვლად დაუშვებელია და ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოვსპოთ ეს ფრიად მავნე ჩვეულება.

სადეზინფექციო მასალათ აქ გირჩევთ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ადვილი საშოვია და ადვილი მოსამზადებელიც:

მდუღარე წყალი. დამდუღრეთ გალიები, საბუდრები, იატაკი, კედლები, ქანდარები და ყველა საგნები, რომლებიც კი ეზოში და საქათმეში მოგეპოვება.

ნაცარ-წყალი. ეს უფრო ადვილათ და ჩქარაც სპობს მიკრობებს და მათ კვერცხებს, ვიდრე ცარიელი წყალი. მოადუღეთ კილო-ნახევარი (3 გირვანქა) ნაცარი 1 ვედრო წყალში და ისევე დადუღრეთ, როგორც მდუღარე წყლით.

კირი. 2 კილო (5 გირვანქა) დაუშლელი კირი გაქენით 1 ვედრო წყალში და შეათეთრეთ ამით საქათმის კედლები, ქანდარები, იატაკი, საბუდრები და სხვა. სხვანაირათაც შეიძლება: მოაყარეთ იატაკზე კირი და მოასხით წყალი.

შავი კარბოლი (გაუწმენდავი)— იყიდება აფთიაქში. 1 ვედრო ცხელ წყალში გაქენით 8 ასი გრამი (2 გირვანქა) საპონი. მიუმატეთ 8 ასი გრამი (2 გირვანქა) კარბოლი და აურიეთ. იმბარეთ ისევე როგორც ნაცარწყალი.

გაწმენდილი კარბოლი 400 გრამი (1 გირვანქა) კარბოლი გახსენით 1 ვედრო წყალში. ამას წყალში გახსნას აფთიაქში უფრო ადვილათ მოახერხე-

ბენ, რადგან ორა-მცოდნესათვის ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს.

ცრეოლინი. 400 გრამი (1 გირვანქა) გახსენით 1 ვედრო წყალში. მკვეთრი სუნი აქვს და სპობს მწერებსაც. იხმარეთ ისევე, როგორც მდუღარე წყალი.

როცა შეატყობთ, რომ მიღებული ღონისძიებანი მიზანს ვერ აღწევენ შეატყობინეთ პირუტყვის ექიმს, რომელიც მოვალეა დაუყოვნებლივ მოვიდეს და დაგეხმაროს რჩევა-დარიგების მოცემით და აცრით.

ზოგიერთ სენის წინააღმდეგ, მაგალითად, ფრინველის ხოლერისა, შემოღებულია წინასწარი აცრა. ასაცრელი მასალაც ჩვენში კეთდება, ისე რომ აღვილი საშოვარია. აცრით შეიძლება გადარჩენა სიკვდილისაგან ყველა საღი ფრინველისა, ავადმყოფებსკი აღარა ეშველება რა.

გარდა ზემოდ ჩამოთვლილ საბრძოლველ ღონისძიებისა, რომლებიც უნდა გამოიყენოთ სენის გაჩენის დროს, საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიაქციოთ იმ ღონისძიებასაც, ურომლისოდაც ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება ვერასოდეს სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს — **ეს არის შეერთებულის, კოლექტიურის ძალით შებრძოლება სენთან.**

თუ ერთმა ოჯახმა მოახდინა დეზინფექცია ან აცრა და მეზობლებმა-კი ყურიც არ გაიბერტყეს, რალა თქმა უნდა, სენის ბუდე ისევ სოფლად რჩება და ხვალ-ზედ ის ხელახლა იჩენს თავს. ასეთი მეზობელი მავნეა საზოგადოებისა და სენის გავრცელების ხელისშემწყობი, ამიტომ საზოგადოებამ მის წინააღმდეგ იძულებითი ზომები უნდა მიიღოს.

ამგვარათ, როცა ფრინველს გადამდები სენი გაუჩნდება, მის წინააღმდეგ სოფელმა **შეერთებულის ძალით უნდა აწარმოვოს ბრძოლა** და საბრძოლველ ღონისძიებები გამოიყენოს: **ფრინველების განცალკევება, ლეშების დაწვა. და მიწაში ჩამარხვა, ავადყოფების ზოგიერთ შემთხვევაში დახოცვა (ხოლერა, ჭირი), ზოგიერთ შემთხვევაში** წამლობა (ყვავილი, ტკიპი, თხიპა, მუნი, ქლიცი, ტიფი) და აცრა ფრინველის გადამდებ სენთან წინააღმდეგ. ამას გარდა არსებობს კიდევ სხვა ღონისძიებაც, რომლებსაც სენის გაჩენამდე უნდა მივმართოთ, რომ სენი არ შემოგვეპაროს და თავიდან ავიცილოთ.

თუ ზემოთ აღნიშნულს ღონისძიებებს ჩვენ **სენის მომსპობი ღონისძიებანი** უწოდეთ უკანასკნელები იქნებიან **გამაფრთხილებელი ანუ სენის თავიდან ამცილებელი ღონისძიებანი.**

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სენი ძალიან ხშირად შემოყვება ხოლმე ბაზანაყიდ ფრინველს, ამიტომ ბაზარზე ნაყიდი ან სხვა სოფლდან და ოჯახიდან წამოყვანილი ფრინველი ორი კვირის განმავლობაში ცალკე უნდა შეინახოთ. თუ შეამჩნევთ ახლო-მახლო გადაგდებულ მკვდარ ფრინველს, დაუყოვნებლივ დაწვით.

ააშენეთ ეზოში მეორე საქათმე, რომლის დანიშნულება იქნება ავადმყოფ და საეჭვო ფრინველების მოთავსება. ნუ იყიდით საკენკს იმ სოფელში, საცა სენია გავრცელებული.

თუ ეზოში რუ გაქვთ გაყვანილი, მოუშინდეთ და მოასხით კიდეებზედ კირწყალი, თუ გუბეები დგება წვიმისაგან ან რუსაგან, ამოაშრეთ და მოასხით კირწყალი. საქათმეებში და ეზოში დაიცავით სისუფთავე. ფრინველებს ნუ გაუშვებთ საეჭვო ეზოსაკენ. დაუდგით ფრინველებს სუფთა სასმელი ჭურჭელი და სასმელი წყალი შეუმჟავეთ მარილის მჟავით (10-20 წვეთს ჩაუშვით).

საქონლის ექიმი **მ. მირიანაშვილი.**

ლენინი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე

ოქტომბრის რევოლიუციის მესაჭე და მსოფლიო მშრომელი კლასის დიდი ბელადი ლენინი სჭედავდა რა კომუნისტურ პარტიას და ამასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურას ის ყოველდღიური მოღვაწეობაში იძლეოდა იმავე დროს, მტკიცე უტყუარ ბრძნულ დარიგებებს და სწორ ხაზს ჩვენი მშრომელთა ახალი სახელმწიფოს შენების საქმეში.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციამდე, 1917 წელს 22 მაისს, სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა ყრილობაზე ლენინი თავის სიტყვაში, ეხება რა რევოლიუციის მომავალ მსვლელობის გეზს, ამბობს, რომ მიუხედავათ დიდი სიძნელისა, რომელიც წინ უდგია სოფლის კერძოობრივ მეურნეობას საზოგადო შრომის საფუძველზე გადაყვანისათვის, დაასკვნის: „ეს მძიმე საქმეა, მაგრამ აუცილებლად უნდა გადავიდეთ მიწის ზოგადი შრომით დამუშავების საფუძველზე. უამისოთ ძნელია გამოვიდეთ იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიაც დარბეული რუსეთი იმყოფება, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს უკაპიტალისტებოთ და მემამულეების გარეშე. მხოლოდ ასეთი გზა მოგვცემს მიწის ნამდვილ გადასვლას მშრომელთა ხელშიო“.

ამას ამბობდა ლენინი ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ის ხედავდა, რომ რუსეთის დანგრეულ მეურნეობას არაფერი არ იხსნის, გარდა მისი საზოგადო შრომით დამუშავებაზე გადასვლისა.

1918 წლის 6 ნოემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მეექვსე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც ის დაწვრილებით ჩერდება სოფელზე და აგრარულ რეფორმაზე სხვათა შორის ამბობს: „მხოლოდ ეხლა დაიწყება სოფლად სოციალისტური მშენებლობა. მხოლოდ ეხლა შეიქნებიან ის საბჭოები და მეურნეობანი, რომელნიც მიწის საზოგადო შრომის დამუშავებისაკენ მიისწრაფვიან“.

1918 წლის 11 დეკემბერს ღარიბთა კომიტეტების, კომუნების და საბიწადმოქმედო განყოფილების ყრილობაზე ლენინი ამბობს: „ცხოვრება ძველებურათ, როგორც ვცხოვრობდით ომამდე, შეუძლებელია. და ადამიანთა ძალღონის ასეთი ფლანგვა, რასაც იწვევს გლეხობის ცალკე მცირე მეურნეობათა არსებობა, შემდეგში შეუძლებელია გაგრძელდეს. ორჯერ და სამჯერ გაიზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, ორჯერ და სამჯერ მეტად შეინახებოდა ადამიანთა შრომა მიწადმოქმედებისა და კაცობრიობის მეურნეობისათვის, რომ ასეთი დაქუცმაცებული მეურნეობიდან განსაზოგადოებრივებული მეურნეობაზე გადასვლა მომხდარიყო“. ამავე ყრილობაზე მან განაცხადა: „ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ათეული მილიონი ხალხის ცხოვრებაში ასეთი უდიდესი გადატრიალება, რომელიც ყოფა-ცხოვრების ყველაზე უფრო ულარიბეს საფუძველს ეხება, როგორიც არის გადასვლა მცირე კერძო საგლეხო მეურნეობიდან მისი საერთო შრომით დამუშავებაზე, შეიძლება მოხდეს მხოლოდ ხანგრძლივი შრომით, და ის საერთოდ განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებლობა აიძულებს ხალხს გადააკეთოს თავისი ცხოვრება. ჩვენი გლეხობის წინაშე ეხლა თვით ცხოვრება პირდაპირ სვამს საკითხს მიწის საზოგადო შრომით დამუშავებაზე გადასვლის შესახებ, რადგან იგი ერთად-ერთი საშუალებაა იმ კულტურის აღსადგენად, რომელიც ომისაგან ეხლა დაქცეული და დაშლილია“.

აქედან ნათლად სჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ჩვენი ბელადი ცალკე დაქუცმაცებულ მეურნეობათა მოსპობას და მის მაგიერ გაერ-

თიანებულ შრომაზე დამყარებულ კოლექტიურ მეურნეობის შექმნას.

შემდეგ, 1919 წ. დეკემბრის 3-ს რუსეთის სამიწადმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების 1-ლ ყრილობაზე ამბ. ლენინი ამბობდა: „თქვენ, ცხადია, იცით საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ კომუნებს, არტელებს და, საერთოდ, ყველა ორგანიზაციებს, რომლის მოქმედებაც მიმართულია იქითკენ, რომ მცირე ცალკე გლეხური მეურნეობა გარდაქმნას საზოგადოებრივ, საამხანაგო ან საარტელო მეურნეობად ან და ამ თანდათანობით გარდაქმნას ხელი შეუწყოს“. „სოციალისტური მიწადმოქმედების დებულებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია კომუნებისა, არტელებისა და მიწის საზოგადო შრომით დამუშავებული ყველა ორგანიზაციის მნიშვნელობა“.

ბელადის ამ სიტყვებიდან ზემოთ-წევნით მკაფიოდ გამოსჭვივის, რომ კომუნების და სხვა კოლექტიური მეურნეობათა მნიშვნელობა საბჭოთა სინამდვილეში ერთობ დიდია.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობაზე ლენინმა სთქვა: „გლეხს, რომელიც არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ ქვეყანაზე პრაქტიკოსი და რეალისტია, ჩვენ უნდა უჩვენოთ კონკრეტიული მაგალითები იმის დასამტკიცებლათ, რომ „კომუნა“ ყველაფერზე უკეთესია. ამ საკითხზე უნდა ვსთქვათ, რომ კომუნებს ჩვენ ვახალისებთ, მაგრამ ისე უნდა იყოს ის მოწყობილი, რომ გლეხის ნდობა მოიპოვოს“.

პარტიის მეათე ყრილობაზე 15 მარტს 1921 წელს წარმოთქმულ სიტყვაში ვლადიმერ ილიას ძემ სთქვა შემდეგი: „პრაქტიკამ ცხადია დაგვანახვა, თუ როგორი უდიდესი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს სხვა და სხვაგვარ ცდებს და წამოწყებებს სოფლის მეურნეობის კოლექტიურად წარმოებაში“.

ზევით მოყვანილ მთელ რიგ ამონაწერებში დაწყებული 1917 წლიდან 1921 წლამდე ლენინი გვაძლევს დარიგებას სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შესახებ. აშკარა არის, რომ მეურნეობა თავისი ზედმიწევნით ჩამორჩენილობასთან ერთად არ შესწევს ძალღონე თავისი საშუალებით გამოაკეთოს საქმიანობა და შემოიღოს კულტურული მეურნეობა მისი შემოსავლის გადიდების მიზნით.

ამისათვის მთავარი საშუალება, რომელსაც შეუძლია ღარიბი და საშუალო გლეხების დახმარება, არის მათი შრომის წარმოებათა საშუალებების გაერთიანება და კოლექტიური საქიანობის საფუძველზე მთლიანი მსხვილ კულტურულ მეურნეობის შემოღება.

ასეთ კოლექტიურ ორგანიზაციებს ჩვენი ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარება. ასეთ პირობებში შესაძლოთ ხდება იმ დიადი ხაზის განხორციელება, რომელიც მოგვცა ვლადიმერ ილიას ძემ.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტიურად მოწყობა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში სწარმოებს დიდის ნაბიჯით. მასში გაერთიანებულია რამოდენიმე მილიონი მოსახლეობისა. ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ დიდი ბელადის მიერ ნაჩვენები გზა, საუკეთესოთ შეეფერება ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას.

„ლენინის ნაჩვენები გზით სოფლის მეურნეობის კოლექტიზაციისაკენ“.

ეს ჩვენი ძახილი მომავალ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვლ. ცაგარელი.

ჯანმრთელობა

როგორ ჩნდება გადამდები ავადმყოფობა

უვიც ადამიანს რომ ჰკითხო, ავადმყოფობა ღმერთისაგან ჩდებაო, გიპასუხებს.

ეს არ არის გასაკვირველი, რადგან სულ ახლო წარსულში მეცნიერებსაც შემცდარი წარმოდგენა ჰქონდათ გადამდებ სენზე.

დღეს კი ცნობილია, რომ თითოეულ გადამდებ სენს თავისი საკუთარი გამომწვევი მიზეზი ჰყავს.

ეს გამომწვევი მიზეზი ბუნებაშია. მას ეწოდება **მიკროორგანიზმი.**

მიკროორგანიზმი ნიშნავს მცირე სხეულს, რომლის დანახვა შეუიარაღებელ თვალით არ შეიძლება. არის ხელსაწყო, რომლის შემწეობით მცირე სხეულები თვალსაჩინო ხდებიან; ამ ხელსაწყოს **მიკროსკოპი** ეწოდება.

აი სწორედ ამ იარაღის შემწეობით შესძლეს აღმოეჩინათ მიკროორგანიზმები საერთოთ და კერძოთ გადამდებ სენთა გამომწვევი მიზეზები.


ახე, მაგალითად, პირიდან ნერწყვი რომ ავიღოთ და მიკროსკოპით გავშინჯოთ, შიგ აუარებელ ცოცხალ სხეულაკებს დავინახავთ.

ასეთი სხეულაკებით ბუნება სავსეა, მაგრამ ყველა მათგანი არ არის ვნების მომტანი. პირიქით—ზოგი მიკროორგანიზმი საჭიროა ჩვენი არსებობისათვის.

ავიღოთ, თუ გნებავთ, მაწონი, რომელიც ყველასთვის ცნობილია. მაწვნის დამჟავებისათვის საჭიროა განსაკუთრებული მიკროორგანიზმი ურომლისოდ დამჟავება შეუძლებელია.

ამგვარად ცხოვრებაში არის ადამიანისათვის სასარგებლო მცირე სხეულაკები და ავადმყოფობის გამომწვევიც.

ჭლექს, მაგალითად, მეცნიერ კოხის მიერ აღმოჩენილი ჩხირის მაგვარი მიკროორგანიზმი იწვევს. ეს ჩხირი რომ არ ყოფილიყო, არც ჭლექი იქნებოდა. ხოლერას თავის გამომწვევი მიზეზი ყავს, ტიფს თავისი მოარულს თავისი და სხვა და სხვა.



მიკროსკოპი

მაშ თუ ყოველ გადამდებ სენს თავის მიზეზი ყავს და ეს მიზეზი ბუნებაში იმყოფება, რატომ ყველა და ყოველთვის არა ვართ ავად?

საქმე იმაშია, რომ ავადმყოფობის გამოწვევას მხოლოდ მიკროორგანიზმი არ ყოფნის. ჩვენდა საბედნიეროდ ავადმყოფობის მიზეზს კიდევ სხვა

დამხმარე პირობები ესაჭიროება: სიბინძურე, გაუნათლებლობა, გაციება და სხვა.

ასე, მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ გაზაფხულზე და ზამთარში უფრო მეტი ხდება ავად. აქ, უეჭველია, მნიშვნელობა დარსაც აქვს: როცა ამინდი ცვალებადია, ავადმყოფობა უფრო ადვილად იკიდებს ფეხს.

ზაფხულობით მძვინვარებს მუცლის სისხლიანი ფაღარათი ან როგორც სოფლად იტყვიან მუცელა. აქ მნიშვნელობა აქვს იმ აუარებელ ხილს, რომელსაც ეგრე დიდი მადით შეექცევიან სოფლის მცხოვრებნი.

განათლებულ ქვეყნებში ზოგი გადამდები სნეულება იშვიათად მოიპოვება, რატომ? იმიტომ, რომ განათლებულმა კაცმა იცის, როგორ უნდა მოუაროს თავს.

ჩვენში რომ მუცლის ტიფი გაუჩნდეს ვინმეს, ახლოს არავინ მიეკარება.

მუცლის ტიფი რომ ადამიანს გადაედოს, საჭიროა ავადმყოფის განავალში გასვრა. ვინც ავადმყოფს უვლის, ყოველ მოვლის შემდეგ ხელებს თბილი წყლით და საპნით კარგად დაიბანს, განავალს ამისათვის განსაკუთრებულად გათხრილ ორმოში ჩაასხამს და ზედ კირის წყალს დაასხამს, ის არასოდეს ავადმყოფის მოვლით ავად არ გახდება და არც სხვა ახლობელს გადასდებს ამ სენს.

როდესაც ჩვენს ტანში ამა თუ იმ სენის გამომწვევი მიზეზი შეიჭრება, მას სხეული უყურადღებოდ არ დასტოვებს. ჩვენს სხეულს აქვს უნარი სენის საწინააღმდეგო ძალების გამომუშავებისა. ამ ძალას სისხლი გამოიმუშავებს. მას სისხლის **თეთრი ბურთული ეწოდება.**

ამ თეთრი ბურთულების შემწეობით სხეული თავის ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზისა და ამ უკანასკნელის მიერ გამოყოფილ შხამისაგან იცავს.

რაც უფრო ჯანმრთელია ადამიანი, მით უფრო ადვილად შეერევა ავადმყოფობას. გარდა ამისა საჭიროა ავადმყოფობის დროს სხეულს დავეხმაროთ. ეს დახმარება გამოიხატება წამლობაში.

ექიმობაში უვიცია. ის ატყუებს ავადმყოფს, წამლის მაგიერ თიხის განალექს აძლევს, სარტყელით ულოცავს, მკითხავთან და მარჩიელთან გზავნის. ამასობაში ავადმყოფობა ფეხს იდგამს და ადამიანს წუთისოფელს ასალმებს.

ზოგან კიდევ ცუდი ჩვეულება აქვთ. მართალია წამალს ხმარობენ ექიმის გამოწერილს, მაგრამ მეზობლის ავადმყოფობის დროს გაძოწერილს. არც ეს ვარგა.

თვითოეული ჩვენგანი სხვა და სხვა აგებულობისაა. ის, რაც ერთს მოუხდება, მეორეს წყენს და პირიქით. წამალი იწერება სხვა და სხვა წონის თითოეულ ადამიანზე. განსაკუთრებით მოზრდილებზე და ბავშებზე.

მოზრდილი ადამიანის წამალი ბავშს არ დაელევინება.

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ გადამდებ სენს უყავს თავის გამომწვევი მიზეზი.

ავადმყოფობას რომ თავი დავაღწიოთ, საჭიროა სისუფთავე.

ავადმყოფმა ან მისმა ჭირისუფალმა საექიმო დახმარებისათვის უნდა მიმართოს ექიმს და არა ექიმბაშს.

წამალი უნდა იხმაროს იმან, ვისთვისაც არის ის გამოწერილი.

ექიმის დაუკითხავად ძველად გამოტანილი წამალი არ უნდა ვიხმაროთ, რადგან დროს გასვლის შემდეგ წამალი იცვლება, უვარგისი ან კიდევ საწამლავი ხდება.

ვისაც სურს ავადმყოფობის მორევა, მან უნდა იზრუნოს, რომ იყოს ჯანმრთელი; მაშასადამე, უნდა მოერიდოს ყველა იმ ადათ-ჩვეულებებს, რაც ადამიანს ასუსტებს და აძაბუნებს.

ექიმი პ. ბუაჩიძე.

მეცნიერება და ტექნიკა

ცხოველის გაახალგაზრდავება და მისი მნიშვნელობა მესაქონლეობაში

რამდენადაც ცხოველი ხანში შედის, იმდენად მისი სქესობრივი ძალა სუსტდება, გამრავლების უნარი ეკარგება.

ცხოველის სქესობრივ ძალის მომატებაზე ანუ გაახალგაზრდავებაზე 1913 წლამდე არავის არ უფიქრია, თუმცა მეცნიერების დაკვიდვებით სასქესო ჯირკვლებს, ანუ კვერცხებს ცხოველის აგებულებაზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. ასე. მაგალითად, დაკოდილ ადამიანს წვერულვაში არ ამოსდის და ქოსად რჩება, და ადვილად დასამორჩილებელი და სამუშაოდ უფრო გამოსაყენი ხდება.

ამგვარად სასქესო ჯირკვლებს ცხოველის აგებულებისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ მისი მოცილებით ცხოველის აგებულებაში დიდი ცვლილება ხდება.

ასეთი მოვლენა ადამიანმა ფართოდ გამოიყენა თავისს სასარგებლოდ და შემოიღო საქონლის დაკოდვა.

საქონლის დაკოდვა ანუ დახელვა ძველს დროიდანვე შემოღებულია მესაქონლეობაში. ადამიანს დიდი ხა-



დახერებული 12 წლის ყოჩი. იგივე ყოჩი გაახალგაზრდავების ოპერაციის შემდეგ

დაკოდილ ხარს რქები უწვრილდება, საერთოდ ტანის და თავის მოყვანილობა ეცვლება. ხასიათი უმშვიდდება, დაკოდილი ყოჩი წყნარდება და გულცივი ხდება: დაკოდილ სანადირო ძაღლს ნადირობის უნარი ეკარგება, დაკოდილი ცხენი მშვიდდება, გონიერება და გამძლებლობა უსუსტდება, ულაყი უფრო ხანგრძლივ ცოცხლობს, ვიდრე ფამატი (დაკოდილი). ერთის სიტყვით, დაკოდვა ძლიერ ასუსტებს და სცვლის ცხოველის აგებულებას, ნია შემჩნეული ჰქონდა, რომ დაკოდილი საქონელი უფრო მშვიდია და მუშაობაში უფრო გამოსაყენი, ვიდრე დაუკოდავი. დაკოდილი საქონელი უფრო ადვილად და მალე სუქდება, ვიდრე დაუკოდავი. ამ ბოლო დროს დედალ საქონელსაც დაუწყეს საკვერცხეების ამოცლა, ესე იგი, დაკოდვა გასუქების მიზნით.

დაუკოდავ საქონლის ხორცი მუქი წითელი ფერისა და მკვრივია, დაკოდილისა კი გაცილებით ნათელი და

რბილი. დაკოდილ საქონელს ტყავი უნაზდება და ურბილდება. საქონლის დაკოდვა იმდენად ხელსაყრელი გახდა მეურნისათვის, რომ ბევრი არამც თუ ტახს (კერატს), არამედ ნეზვსაც კი ჰკოდავს.

როცა მეცნიერებმა დაკოდვის ასეთი გავლენა ცხოველზე შეისწავლეს, მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ სასქესო ჯირკვლებში მდგარი ნაწარმოები (გორმონი) სისხლთან ერთად უვლის ცხოველის მთელს სხეულს და აძლევს მოქმედების ძალას მის ორგანოებს (ნაწილებს). ამგვარად ის ცვლილებები, რომლებიც დაკოდილ ანუ სასქესო ჯირკვლებს (კვერცხები) ამოცლილ საქონელში ხდება, დამოკიდებული ყოფილა იმისაგან, რომ ცხოველი მოკლებული ყოფილა სასქესო ჯირკვლებში მდგომ ნაწარმოებს ანუ გორმონებს.

როცა ცხოველში სიბერე იწყება, მას უბერდება აგრეთვე სასქესო ჯირკვლებს ღეჭრედები, რომლებიც ვეღარ ამზადებენ გამრავლებისათვის საჭირო ნაწარმოებს — გორმონებს.

მაშასადამე, თუ ადამიანი შესძლებდა სქესობრივ ჯირკვლებისათვის მოქმედების უნარის შენარჩუნებას და დაბერებულ ცხოველის სხეულში სასქესო ჯირკვლების ნაწარმოების — გორმონების გამრავლებას, მაშინ, ეჭვი არ იყო, რომ სიბერე ერთხანად შეჩერებული იქნებოდა.

საჭირო იყო გამოეგონათ ისეთი საშუალება, რომლის შემწეობით სასქესო ჯირკვლები შესძლებდნენ ამოძრავებას. ამ მიზნით მეცნიერმა ვორონოვმა ამოაჭრა ახალგაზრდა ცხოველს სასქესო ჯირკვლები და გადაამყნო ბებერ ცხოველზე. ასეთი ცდები მან გააკეთა თხებზე, ცხვრებზე, ხარებზე და ულაყებზე. გადამყნობის შემდეგ ცხოველში გორმონების მოქმედება ცხოველდება და იწყება შესაჩნევად „გაახალგაზრდავება".

სურათ პირველზედ ჩვენ ვხედავთ დაბერებულ ყოჩს, რომელიც უშნოდ და დაჩაგრულად გამოიყურება. ალაგ-ალაგ მატყლიც ჩამოსცვივნია. სხვა ახალგაზრდა ცხოველის სასქესო ჯირკვლის გადარგვის სამი თვის შემდეგ ის არამც თუ გაახალგაზრდავდა, არამედ ნამდვილი ყოჩი დადგა. როგორც მეორე სურათიდან დაინახავთ. ბალანი ისევ ამოუვიდა. მისგან დამაკებულმა ცხვარმა კარგი მაგარი ბატკანი მოიგო.

ვორონოვმა ასეთი ცდა ერთ 17 წლის ბუღაზედაც გააკეთა, რომელსაც გამრავლების უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა და შესაბრალისად გამოიყურებოდა. 1924 წ. ვორონოვმა მას მიუმყნო 2 წლის ბუღის სასქესო ჯირკვლები. ოპერაციის 4 თვის შემდეგ ბალანმა ბზინვა დაუწყო, თვალები გაუბრწყინდა და გამოცოცხლდა. ამასთან მასში გაიღვიძა სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილმა. ერთი წლის შემდეგ ეს ბუღა მცოდნე ხალხისაგან ცნობილი იყო როგორც სანაშენოდ გამოსადეგი.

საქონლის გაახალგაზრდავება მესაქონლეობაში დიდად სასარგებლო მოვლენაა. ამ საშუალებით შეიძლება საუკეთესო ჯიშის სანაშენო საქონლის უფრო დიდ ხანს გამოყენება და საუკეთესო ნაწარმოების (მატყლი, ხორცი) მიღება. მალე მეცნიერება ცხოველის გაახალგაზრდავებით შესძლებს სხეულზე ბრძანებლობას და ამით აურაცხელ სარგებლობას მოუტანს ჯოფლის მეურნეობას.

ნ. ალნიაშვილი.

გამოსადეგი ცოდნა

როგორ დავიფაროთ მანქანა-იარაღები უანგვისაგან. შესანახი მანქანა-იარაღი ჯერ უნდა გაწმინდოთ, გააშუფთაოთ ჭუჭყ-ტალახისაგან. მერე სკიპიდარში ან ნავთში ამოვლებულ ტილოთი უნდა გარეცხოთ და კარგათ გააშრალოთ. შემდეგ უნდა აიღოთ 3 წილი ცხერის დუმა, 1 წილი ნავთი, აურიოთ ერთმანეთში და წაუსვათ.

როგორ ვებრძოლოთ ჭიანჭველას. ჭიანჭველა მცენარეს მაშინ ეტანება, როცა მცენარეზე ფოთლის ტილი ჩნდება. ჭიანჭველის მცენარისაგან მოსაცილებლად ჯერ ტილი უნდა გავწუწუტოთ, ფოთლის ტილის წინააღმდეგ კარგია თამბაქოს გამონახარში. აიღეთ 1 გირვანქა უბრალო თამბაქო წეკო (მახორკა), ჩაყარეთ ერთ ვედრო წყალში დასალბობად და დასტოვეთ ესე 3 დღის განმავლობაში. 3 დღის შემდეგ შედგით ცეცხლზე და ადუღეთ 3-4 საათი, მერე გადმოდგით, გააცივეთ და გაწურეთ წვიმიდა ქსოვილში. აიღეთ 1 წილი ამ ნახარშისა, გახსენით 3 წილ წყალში და ასხურეთ ტილიან მცენარეს.

სათესლე სიმინდის შერჩევა. სათესლე სიმინდი სიმინდის ღეროს მოჭრამდე უნდა შეარჩიოთ და ნიშანი შეაბათ. სათესლეთ გადარჩეული ტაროს ღერო უნდა იყოს ღონიერი, არც ძლიერ მაღალი და არც ძლიერ დაბალი. და თუ შეიძლება ორ—ტაროიანი. ტარო უნდა იჯდეს ღეროზე ცოტა დახრილად. სათესლე ტარო გაუფურჩქვნელათ უნდა შეინახოთ. მხოლოდ დათესვის წინადღეს გაფურჩქნით და დაფშვნით.

სათესლე სიმინდის ტაროს მოყვანილობასაც აქვს მნიშვნელობა. ის უნდა იყოს დაახლოებით თავიდან ბოლომდე თანასწორის სისქის. 4 ვერშოკიანი სისქის (ირგვლივ) ტარო კარგ სათესლეთ ითვლება. სათესლე სიმინდს, თუ ცალკე ბოსტანში დასთესავთ და იქიდან გაიჩენთ სათესლე მასალას ისა სჯობია. ტაროს თავის და ბოლოს მარცვლები სათესლეთ არ ვარგა. ტაროს შუაზე მყოფი მარცვლები ყველაზე უკეთესია.

კითხვა-პასუხი

კითხვა. 1) ურიათუბნის საკლდელ სადგურმა ნიადაგის გაშინჯვის შემდეგ საძირე 420ა ან 41B-ზე დარგული ვაზი მირჩია, მაგრამ ანაგის საკრედიტო ამხანაგობამ შეკდომით საძირე 3309 დამყნილი ვაზი მომცა. ჩაყრილმა ვაზმა კარგი ყლორტი გამოიღო, მაგრამ ეშიშობ მომავალზე, ვაი თუ ვერ გამოდგეს, რადგან მიწა მთლად კირნარია, თუმცა ალაგ-ალაგ ზედაპირი თიხნარია. როგორ მოვიქცე.

2) მზისკენ მიშვერილი მტევნის მარცვლები ჯერ წითლად ფერდება და მერე ჰკნდება და ხმება. გიგზავნით რამდენიმე მარცვალს. გთხოვთ ახსნა-განმარტებას.

გ. დათუაშვილი.

პასუხი 1) ამერიკულ საძირე № 420-ზე დამყნილი ვაზის მაგიერ 3309-ზე დამყნილის დარგვას არ გირჩევთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ № 420 უძლებს იმ გვარ ნიადაგს, სადაც კირი ძლიერ მოჭარბებულია და 3309 კი ნაკლებ კირიან ნიადაგებს. რაკი 3309 დაგირგავთ და პირველ წელსვე საყვითლე და ხითეთრე არ

ეტყობა ვაზებს, ნუ გეფიქრებათ, — 3309 კარგათ იხეირებს.

მით უმეტეს, რომ თქვენ ამბობთ ნიადაგი სხვა და სხვა ნაირია და ალაგ ალაგ თიხნარიც ყოფილა. 3309 კირის კარგი გამძლე საძირეა და 420ა კი სულ კირნარების ვაზია.

2) დაავადებული მარცვლები არ მიგვიღია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს უხეირო შეფურჩქვნის ბრალი უნდა იყოს, თუ სოკოვანი რამ ავარმყოფობა არ არის ამის მიზეზი. ჩრდილში მყოფი მტევნები ერთბაშად არ უნდა გამოამზევოთ, სიცხე რომ უცებ დაჰკრავს მარცვალს, ვერ იტანს, ამიტომ შეფურჩქნა ფრთხილად, ნელა-ნელა და ხან გამოშვებით უნდა, რომ თანდათანობით შეეჩვიოს მტევანი პაპანაქება მზის შუქს.

შეაფრქვიეთ ერთი წილი ახლად დაშლილი კირი და სამი წილი გოგირდი ერთად არეული.

სპეციალ. ვ. ბიბილაშვილი.

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა თემის გლეხკომს დაარსოს კოლექტივი ვაზის ან სხვა მცენარეების გაშენების მიზნით და მოხმარდება თუ არა კოლექტივის მიერ მოყვანილი ჭირნახული მხოლოთ მის წევრებს?

გლეხკომის წევრი ი. ყობახიძე.

პასუხი:

თემის გლეხკომს არა თუ შეუძლია კოლექტივის მოწყობა, არამედ მას კიდევაც **ევალება** ასეთი მუშაობის და კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობა და დახმარება. რაც შეეხება ჭირნახულის განაწილებას, ის ხდება კოლექტივის წესდების და დებულების თანახმათ, აგრეთვე ჩაწერილ კოლექტივში წევრთა საზოგადო კრების წინასწარი დადგენილების მიხედვით. მოსავლის განაწილების დროს უნდა იქნეს მიღებული კოლექტივის წევრის მიერ დახარჯული შრომის და მისი უნარიანობა, ცოდნა და სხვა ნიშნები, რომლებიც საზოგადო კრების ოქმში იქნება შეტანილი კოლექტივის დაარსებისას.

კოლექტივის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო საზოგადო კრებაა. მან ისე უნდა მოაწესრიგოს მოსავლის და საერთოთ ნაშრომის განაწილების საკითხი, რომ ამ ნიადაგზე კოლექტივის წევრთა შორის უკმაყოფილება თავიდან იყოს აცილებული. კოლექტივის დაარსების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მიმართეთ ადგილობრივ უბნის აგრონომს ან „სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორს.

აგრონომი ნიკ. ნუცუბიძე.

რედაქტორი-აგრონომი ნ. აღნიაშვილი. პასუხ. რედაქტ. გ. მუშიშვილი.

მთავლ. № 1595. გამომცემლობა „ახალი სოფელი". ტირაჟი 5000.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა. კამოს ქუჩა, № 68.

ს 9846
1928

გაზეთ „ახალი სოფელის"-ს რედაქციასთან
გლეხური ლიტერატურის გამომცემლობა

„ახალი სოფელი"

გამომცემლობის მიზანია გამოსცეს დ ფართოდ გაავრცელოს გლეხობისათვის გასაგები ლიტერატურა ყოველი დარგიდან: პოლიტიკიდან, ლიტერატურიდან, მეურნეობიდან, მეცნიერებიდან დ სხვ.

ყველა პარტიულ, საბჭოთა დ კოოპერატიულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევა გამომცემლობა **„ახალი სოფელი"-ს** საშვალებით გამოსცეს, თავის ხაზით, სასოფლო ლიტერატურა დ მიაწოდოს ის გლეხობას.

1928—29 საოპერაციო წლის განმავლობაში გამომცემლობას განზრახული აქვს 200 სხვადასხვა სახელწოდების ბროშიურის გამოცემა 2 მილიონი ტირაჟით.

უკვე გამოიცა და ვრცელდება სოფლად:

1. ი. ტატიშვილი. „მიწის საკითხები" (ისტორია, შენობის გაყიდვა) ტ. 15000 ფ. 10 კ.
2. ივ. გომართელი. „მიწის მუშის მტრები"—(საეკონომო დარიგებანი) ტ. 15.000 10 კ.
3. ი. სტალინი. „მთის არწივი" (ლენინის შესახებ სურათით) ტირაჟი 25.000 5 კ.
4. ალ. შანშიაშვილი. „ტყის ქურდი" მოთხრობა.—ტ. 15.000 5 კაპ.
5. ბონჩ-ბრუევიჩი. „თავდასხმა ლენინზე". ტ. 15.000 10 კაპ.
6. ვ. აბრამიშვილი. „სისხლიანი კვირა" (9 იანვრის ამბავი) ტ. 10.000 10 კაპ.
7. ი. გედეონიშვილი. „მოჩვენება". (მოთხ. სოფლის ცხოვრ.) ტ. 10.000 10 კაპ.
8. ვ. გარრიკი. „ტურა ჯილღაური." (მოთხ. სოფლის ცხოვრ.)—ტ. 10.000 10 კაპ.
9. გ. ქუჩიშვილი. „წითელი ჩონგური"—(სახალხო ლექსები)—ტ. 10.000 15 კაპ.
10. პ. ბუაჩიძე. „ქალთა სნეულებანი" (სურათებით)—ტ. 10.000 10 კ.
11. ნ. აღნიაშვილი. „მავნებლები და მათთან ბრძოლა"—ტ. 15.000 10 კაპ.
12. კ. ფარეიშვილი. „საქონლის ავადმყოფობანი" (სურათებით)—ტ. 10.000 10 კ.
13. ხანკალამოვი. „მიწების გაცვლა".—ტირაჟი 10.000 5 კ.
14. ლადო კიკაბიძე. „ოჯახი, ქორწინება და მეურვეობა" —ტ. 10.000 10 კ.
15. ი. დოლიძე. „საბჭოთა სასამართლო და გლეხობა" (საუბარ.) ტ. 10.000 10 კ.
16. ნ. ზომლეთელი. „მრუდე გზა". (მოთხრ. სოფლის ცხოვრ.)—ტ. 20.000 10 კ.
17. ვლ. ცაგარელი. „როგორ მოვაწყოთ კოლექტივები სოფლად".—ტ. 5.000 10 კ.
18. მოსე გოგიბერიძე. „როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი".—ტ. 10.000 10 კ.
19. ს. მამულია. „საგლეხო სესხი და მისი დანიშნულება".—ტ. 10.000 10 კ.
20. გ. მ—ლი. „პარტია და სოფელი" (მე-15 ყრილ. სოფ. მუშ. შესახებ) ტ. 5.000 10 კ.
21. ნ. ლორთქიფანიძე. „იუმორი"—ტირაჟი 5.000 20 კაპ.
22. „1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი"—ტ. 10.000 10 კაპ.
23. ჟურნალი „ახალი სოფელი" 5 ნომერი—ტირაჟი 30.000 15 კაპ.

გამოცემის და გავრცელების პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11

გამომცემლობა „ახალი სოფელი". გამგეობა.